პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 170 (11476)

პარასკევი

24

ივლისი

1959 წ.

ფასი 20 კაპ.

## ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ერთობლივ განცხადებას

**ვარშავა, 22 ივლისი.** (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. გომულკამ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა დღეს აქ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ერთობლივ განცხადებას პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნასთან დაკავშირებით.

# საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ერთობლივი განცხადება

## პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნასთან დაკავშირებით

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით 1959 წლის 14-დან 23 ივლისამდე პოლონეთში საპასუხო მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის დროს გაიმართა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს:

საბჭოთა კავშირის მხრივ: ნ. ს. ხრუშჩოვმა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ; ა. ი. გაევოიმ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, უკრაინის კპ დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა; ტ. ი. კისელიოვმა — ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ; ლ. ნ. ეფრემოვმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა; მ. ი. შუმაუსკასმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ; ნ. პ. ფირიუბინმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ; ე. ი. გარალიკმა — სკკპ ივანოვოს საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა; ი. ვ. ანდროპოვმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ; პ.ა. აბრასიმოვმა — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, აგრეთვე ამხანაგებმა ა. ი. გორჩაკოვმა — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგემ და ი. ფ. ძერჟინსკიმ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა თანამშრომელმა.

პოლონეთის მხრივ: ვლადისლავ გომულკამ —პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა; იუზეფ ციარანკევიჩმა— პგმპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ; ეჟი მორავსკიმ — პგმპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და პგმპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა; ადამ რაპაცკიმ — პგმპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა; პეტერ იაროშევიჩმა — პგმპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ; სტეფან იგნარმა — გაერთიანებული გლეხთა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ: ზენონ ნოვაკმა — პგმპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ; ვიტოლდ ტრომპჩინსკიმ — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა; კეისტუტ ჟემაიტისმა — პგმპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის მინისტრმა; ტადეუშ გედემ — პგმპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში, აგრეთვე: მარიამ ვერნამ — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა დირექტორმა; იუზეფ ჩესაკმა — პგმპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა, პგმპ ცენტრალური კომიტეტის უცხოეთის კომისიის მდივანმა; სტეფან ვილსკიმ —პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სრულუფლებიანმა მინისტრმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორმა.

მოლაპარაკებისა და მეგობრული საუბრების მსვლელობაში მხარეებმა განიხილეს დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხებს შორის ძმური თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური პრობლემები. კმაყოფილებით აღინიშნა შეხედულებათა ერთიანობა ყველა განხილულ საკითხზე.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოფნის დროს დელეგაცია ეწვია ვარშავას, კატოვიცეს და სილეზიის რაიონის მთელ რიგ ქალაქებს, შჩეცინს, პოზნანს, ჟეშუვს, გდანსკს, ლოძს, ლიუბლინსა და ოსვენციმს, იყო სამრეწველო საწარმოებში, სამიწათმოქმედო საწარმოო კოოპერატივებში, სახელმწიფო მეურნეობებსა და კულტურულ დაწესებულებებში.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან ერთად პოლონეთში იმოგზაურა ვლადისლავ გომულკამ — პგმპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა.

დელეგაციას ცალკეულ სავოევოდოებში მოგზაურობისას ახლდნენ აგრეთვე: პგმპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები — ზენონ კლიშკო, იგნაცი ლოგა-სოვინსკი, ადამ რაპაცკი, მარიან სპიხალსკი, იუზეფ ცირანკევიჩი; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები — ზენონ ნოვაკი და პეტერ იაროშევიჩი; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრები — სტანისლავ დარსკი, კეისტუტ ჟემაიტისი, ანტონი რადლინსკი; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრების მოადგილეები — იან მიტრენგა, მეჩისლავ იაგელსკი; პგმპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები — ედმუნდ პშჩულკოვსკი, იუზეფ ჩესაკი; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები — მარიამ ვერნა, სტეფან ვილსკი, რომუალდ პოლიშჩუკი. დელეგაციას აგრეთვე ახლდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ტადეუშ გედე.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ზეიმში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — სახალხო პოლონეთის 15 წლისთავის გამო.

დელეგაციის წევრებს მრავალი მეგობრული შეხვედრა და გულითადი საუბარი ჰქონდათ პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკებთან, მუშებთან, გლეხებთან, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებთან. ეს შეხვედრები გახდა საბჭოთა ხალხისა და პოლონელი ხალხის ძმობისა და მეგობრობის დემონსტრაცია ორივე ქვეყნის ყოველმხრივი, სულ უფრო მზარდი თანამშრომლობის დადასტურება.

პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გაეცნო დიდ წარმატებებს, რომლებსაც პოლონეთის მშრომელებმა მიაღწიეს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

სახალხო ხელისუფლების წლებში პოლონეთი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა განვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად. პოლონეთის სამრეწველო პროდუქცია ომამდელ დონესთან შედარებით ექვსჯერ გაიზარდა, ხოლო ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 1958 წელს 3,2-ჯერ მეტი იყო, ვიდრე ომამდე.

საბჭოთა დელეგაცია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ პოლონელმა ხალხმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის აღდგენასა და განვითარებაში გაერთიანებულ მიწებზე, რომლებიც გაჩანაგებული იყო მეორე მსოფლიო ომის შედეგად. ამ მიწებზე, რომლებიც პოლონეთის ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, აშენდა ახალი ფაბრიკები და ქარხნები, გაიხსნა ათობით სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთელი წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში მიღწეულია პოლონელი ხალხის თავდადებული შრომის მეოხებით პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების მხარდაჭერითა და ძმური დახმარებით.

* * *

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის დელეგაციები დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ 1945 წლის 21 აპრილის ხელშეკრულება ორივე ხალხის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. იგი შეესაბამება ორივე ქვეყნის მშრომელთა ძირეულ ინტერესებს.

სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხებს აქვთ საერთო დიადი მიზანი — კომუნისტური საზოგადოების აშენება. საბჭოთა კავშირში უკვე აშენებულია სოციალისტური საზოგადოება. სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობა, რომელიც თანამედროვეობის დიდი მოვლენა იყო, მოასწავებს სსრ კავშირის შესვლას ახალ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახულია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის კონკრეტული პროგრამა, შემუშავებულია თეორიული დებულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ სკკპ და საბჭოთა ხალხის პრაქტიკული საქმიანობის მთავარ მიმართულებებს კომუნიზმის იდეალების განსახორციელებლად.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მიღწეულია დიდი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მესამე ყრილობამ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა, შეაჯამა უკანასკნელ წლებში გაწეული მუშაობის შედეგები და დასახა სოციალისტური მშენებლობის შემდგომი დიდებული ამოცანები, რომელთა განხორციელება ახალი დიდი ნაბიჯი იქნება პოლონეთში სოციალიზმის მშენებლობის გზაზე, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სერიოზული წვლილი იქნება მსოფლიო სოციალისტური სისტემის შემდგომი განმტკიცების საქმეში, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების დიად საქმეში.

ორივე ქვეყნის ხალხების მეგობრობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ღრმა იდეური ერთიანობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპები, სულ უფრო მტკიცდება და ვითარდება. ეს კონკრეტულად გამოხატულია სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობით.

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ეკონომიურ თანამშრომლობას საფუძვლად უდევს გრძელვადიანი შეთანხმებები. ეს შეთანხმებანი, ისევე როგორც ყველა შეთანხმება სოციალისტურ ქვეყნებს შორის, ითვალისწინებენ ყოველი ცალკეული ქვეყნის, აგრეთვე მთელი სოციალისტური ბანაკის ინტერესებს. ისინი წარმოადგენენ ყველა სოციალისტური ქვეყნის ახალ წარმატებათა დიდმნიშვნელოვან გარანტიას.

მხარეები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა სავაჭრო ბრუნვა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის, დიდად გაფართოვდა ურთიერთ მიწოდებული საქონლის ასორტიმენტი და განსაკუთრებით დიდად გაიზარდა ვაჭრობა მანქანებითა და სამრეწველო მოწყობილობით.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა სსრ კავშირს აწვდის საზღვაო სატვირთო და სარეწ გემებს, რკინიგზის მოძრავ შემადგენლობას, სხვადასხვა მოწყობილობას, ქვანახშირს, თუთიას, შაქარს, ქსოვილებსა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სხვა დიდმნიშვნელოვან საქონელს.

საბჭოთა კავშირი პოლონეთს უწევდა და უწევს უანგარო ძმურ დახმარებას სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებაში და ბევრი სამრეწველო ობიექტის მშენებლობაში. მიღწეული შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა კავშირი ეხმარება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის გაფართოებაში, ტექნიკურ დახმარებას უწევს პოლონეთის ნავთობის, გაზისა და სამთამადნო მრეწველობის განვითარებაში. საბჭოთა კავშირი უზრუნველყოფს პოლონეთისათვის მთელ რიგ ძალიან დიდმნიშვნელოვან სახეობათა ნედლეულის, განსაკუთრებით რკინის მადნის, ნავთობისა და მარცვლეულის მიწოდებას.

პოლონეთის სოფელში სამუშაოთა მექანიზაციის პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირი მიღწეული შეთანხმების შესაბამისად პოლონეთს გაუწევს დახმარებას სატრაქტორო ქარხანა „ურსუსის“ გაფართოებისას, აგრეთვე სამელიორაციო სამუშაოთა განხორციელებაში.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ ეკონომიური ცხოვრების განვითარების თანამედროვე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ ქვეყნებს შორის შრომის სწორ და მიზანშეწონილ განაწილებას, განსაკუთრებით სპეციალიზაციასა და კოოპერირებას. თვითეული სოციალისტური ქვეყნის სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაცია, საწარმოო შესაძლებლობათა და მოთხოვნილებათა ერთობლივად შესწავლა შესაძლებელს გახდის განახორციელდეს მეცნიერულ ბაზაზე შრომის სოციალისტური საერთაშორისო განაწილება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის ყოველმხრივ განვითარებას, ურთიერთ მხარდაჭერასა და დახმარებას სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირმა, რომელიც მოსკოვში გაიმართა შარშან მაისში, აგრეთვე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს X და XI სესიებმა დასახეს სოციალისტურ ქვეყნებს შორის ეკონომიური თანამშრომლობისა და მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემის უპირატესობათა საუკეთესოდ გამოყენების ფორმების შემდგომი სრულყოფის გზები. ამ თათბირებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს სოციალისტური ბანაკის ურღვევი ერთიანობა და შეკავშირება და მოასწავებენ ახალ დიდმნიშვნელოვან ეტაპს სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობისა და ძმური ურთიერთდახმარების განვითარებაში.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ეს მჭიდრო თანამშრომლობა და დაუშრეტელი რესურსები შესაძლებლობას აძლევენ მათ მტკიცედ იარონ წინ საერთო ფრონტით, სწრაფი ტემპებით განავითარონ თავიანთი ქვეყნების ეკონომიკა და გააუმჯობესონ ხალხების კეთილდღეობა.

ფართოდ განვითარდა აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობა. წლითიწლობით სულ უფრო ფართოვდება ყოველმხრივი კავშირი ორივე ქვეყნის მეცნიერთა, სპეციალისტთა, კულტურის მოღვაწეთა შორის. ამ ბოლო დროს გავრცელდა თანამშრომლობა ერთი ტიპის საწარმოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის მთელი რიგი მეცნიერული და საწარმოო პრობლემების ერთობლივად დამუშავებაში.

მხარეები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირიდან პოლონური ეროვნების პირთა რეპატრიაციის ვადებისა და წესის შესახებ 1957 წლის 25 მარტის შეთანხმების შესაბამისად მიმდინარე წელს წარმატებით დამთავრდა საბჭოთა კავშირიდან პოლონური ეროვნების პირთა რეპატრიაცია პოლონეთში.

საბჭოთა კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა დარწმუნებული არიან, რომ მძლავრი სოციალისტური ბანაკის განმტკიცება ჩვენი ქვეყნების შემდგომი სწრაფი განვითარების, მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის გარანტიაა. საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ძმური მეგობრობის ყოველი ღონისძიებით გაღრმავება სერიოზული წვლილია სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცების საქმეში, ხელს უწყობს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას, მივყავართ სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის იდეების გამარჯვებისაკენ.

მხარეებმა გამოთქვეს გადაწყვეტილება კვლავაც განამტკიცონ ორივე ხალხის ძმური მეგობრობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები, ყოველი ღონისძიებით გააფართოონ პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, მიაღწიონ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების კიდევ უფრო მეტ შეკავშირებას.

* * *

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციებმა გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში განიხილეს საკითხების ფართო წრე და აღნიშნეს შეხედულებათა ერთიანობა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში. კვლავ დადასტურდა, რომ ცენტრალური პრობლემა, რომელიც მთელ პროგრესულ კაცობრიობას აღელვებს, მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცებაა.

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მიზანია ახალი ომის წარმოშობის საფრთხის თავიდან აცილება, სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და ყველა სახელმწიფოს შორის ურთიერთ ხელსაყრელი თანამშრომლობის ყოველი ღონისძიებით განვითარება.

მძლავრი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წარმატებებს მოჰყვება მთელ მსოფლიოში მშვიდობისმოყვარე ძალების კიდევ უფრო მეტი ზრდა და განმტკიცება; სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შემდგომი ზრდისა და განმტკიცების კვალობაზე იქმნება გადაულახავი დაბრკოლებები აგრესიული წრეების გზაზე.

სოციალისტურმა ქვეყნებმა და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირმა წამოაყენეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგება მოლაპარაკების გზით. ეს წინადადებანი სულ უფრო მეტ გამოხმაურებას პოულობენ მშრომელებში, აგრეთვე ყველა ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში. ფართო საზოგადოებრივი წრეებისათვის, ისევე როგორც კაპიტალისტური სამყაროს სხვადასხვა პოლიტიკური ძალებისათვის, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ძალის პოზიციის ვერავითარი პოლიტიკა ვერ შეაჩერებს სოციალიზმის ძალთა თანამედროვე განვითარების უპირატეს პროცესს, ვერ დათრგუნავს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მხოლოდ ორი სისტემის მშვიდობიან თანაარსებობასა და მშვიდობიან შეჯიბრებას შეუძლია თავიდან აგვაცილოს ომის წარმოშობა. სოციალისტური ბანაკის არსებობამ და მისმა მზარდმა ძლიერებამ მძლავრი დაბრკოლება შეუქმნა ყოველგვარ ცდას, რომ მსოფლიოს თავს მოახვიონ გადაწყვეტილებანი ძალის პოზიციიდან.

მაგრამ აგრესიულ იმპერიალისტურ წრეებს, რომლებიც დღემდე უდიდეს მოგებას იღებდნენ „ცივი ომისაგან“, არა სურთ შეურიგდნენ იმ ფაქტს, რომ ძალის პოზიციის პოლიტიკა სულ უფრო მზარდი კრიზისის პერიოდში შევიდა. ისინი ჯიუტად უარყოფენ ყველა წინადადებას, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ დაძაბულობის შენელებას, და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ხელი შეუშალონ დაძაბულობის შენელებას და კიდევაც გაამწვავონ საერთაშორისო მდგომარეობა. სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეებისა და ნატოს ხელმძღვანელების პოლიტიკას, რომლის მიზანია დააჩქაროს ატომური შეიარაღება, მისცეს ატომური იარაღი დასავლეთგერმანელ მილიტარისტებსა და რევანშისტებს; სწორედ ასეთი აზრი აქვს სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა გარშემო ნატოს რაკეტული და ატომური ბაზების მშენებლობის დაჩქარებას.

დელეგაციებმა სერიოზული ყურადღება დაუთმეს იმ საკითხების განხილვას, რომლებიც გერმანიას შეეხება. ერთსულოვნად აღინიშნა, რომ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვენ, არის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება და დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაცია. სრულიად არანორმალური და შეუწყნარებელია, რომ გერმანელ ხალხს დღემდე არა აქვს საზავო ხელშეკრულება, ხოლო დასავლეთ ბერლინში შენარჩუნებულია ოკუპაციის რეჟიმი.

ასეთი მდგომარეობა, რასაც იყენებენ მშვიდობის საქმის მტრული ძალები და განსაკუთრებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც ცდილობს გაამწვავოს პოლიტიკური ვითარება ევროპაში, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას. დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაცია განსაკუთრებით საშიშ ხასიათს იღებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მოქმედების გამო, რომლის მიზანია ბუნდესვერის აღჭურვა რაკეტული და ატომური იარაღით.

ეჭვი არ არის, რომ დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმი, რომელიც ემყარება ძალის პოზიციის პოლიტიკის ატლანტიკის კონცეპციას და იმედს ამყარებს საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომ დაძაბულობაზე, ცდილობს მოიპოვოს მთავარი პოზიცია დასავლეთ ევროპაში, რათა შემდეგ გაშალოს იმპერიალისტური, სამხედრო-ეკონომიური ექსპანსია, რომელმაც უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მსოფლიო უკვე ორჯერ გადაჩეხა ომის კატასტროფაში, გერმანელ ხალხს კი მოუტანა მხოლოდ დამარცხება და მძიმე უბედურება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა მხარს უჭერს რევანშისტული წრეების საქმიანობას; იგი ევროპაში ერთადერთი მთავრობაა, რომელიც ტერიტორიულ პრეტენზიებს აყენებს სხვა სახელმწიფოთა მიმართ. იგი ცდილობს გააღრმავოს ევროპის გათიშვა ერთმანეთის საწინააღმდეგო სამხედრო დაჯგუფებებად და თავს არიდებს აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანასთან თავისი ურთიერთობის ნორმალიზაციას.

დასავლეთ გერმანიის რევანშისტული და მილიტარისტული წრეები, რომელთა ინტერესებსაც გამოხატავს კანცლერი ადენაუერი, ამჟამად გამოდიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მთავარ მოწინააღმდეგეთა როლში, იცავენ „ცივი ომის“ გაღვივებას.

ასეთ პოლიტიკას ვერ ეთანხმებიან მსოფლიოს ხალხები და მით უმეტეს ის ხალხები, რომლებიც ჯერ კიდევ 15 წლის წინათ სისხლით იცლებოდნენ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციებს მიაჩნიათ, რომ ჟენევის თათბირზე საგარეო საქმეთა მინისტრებმა გარკვეული დადებითი მუშაობა შეასრულეს. თათბირზე უკეთ გამოვლინდა მხარეთა პოზიციები მთელი რიგი საკითხების შესახებ, დაზუსტდა არსებული უთანხმოება, გაკეთდა მხარეთა თვალსაზრისების დაახლოების ცდები. ამასთანავე დელეგაციები სინანულით აღნიშნავენ, რომ ჟენევის თათბირზე დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის გამო დღემდე არ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და დასავლეთ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაციის შესახებ.

პოზიცია, რომელიც დღეს დასავლეთის სახელმწიფოებსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას უჭირავთ, აფერხებს იმ შეთანხმების მიღწევას, რომელსაც ყველა ხალხი მოელის, და ამ პოზიციის შეუძ-

(დასასრული მე-2 გვ.)

## საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წერილი გაზეთ „ტრიბუნა ლიუდუში“

**ვარშავა, 22 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.).** საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ დღეს გაზეთ „ტრიბუნა ლიუდუს“ რედაქციას გადასცა წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელიც მეგობრობის ვიზიტით იმყოფება პოლონეთში, მოუვიდა ბევრი მისასალმებელი წერილი და დეპეშა, რომლებითაც გამოთქმულია უაღრესად კეთილი სურვილები საბჭოთა კავშირის, ჩვენი ქვეყნის ხალხებისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი. ქარხნების, ფაბრიკებისა და სხვა სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, სახელმწიფო მეურნეობების, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებათა ბევრმა კოლექტივმა, აგრეთვე პოლონეთის ათასობით მოქალაქემ ჩვენს დელეგაციას გამოუგზავნეს მიწვევა ესტუმრონ მათ, შეხვდნენ მათ. ზოგიერთი ჩვენი მეგობარი გვიწვევს თავის ოჯახში ბავშვის დაბადების, ვაჟის ქორწილის ან ქალიშვილის გათხოვებისა და სხვა საოჯახო ზეიმების გამო.

ჩვენ კმაყოფილებით გეწვეოდით, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, მაგრამ არა გვაქვს ამის შესაძლებლობა.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია დიდ მადლობას უძღვნის ყველა კოლექტივსა და ცალკეულ ამხანაგებს, რომლებმაც გამოგვიგზავნეს თავიანთი კეთილი წერილები და მეგობრული მიწვევანი.

**ნ. ხრუშჩოვი, ა. გაევოი, ტ. კისელიოვი, ლ. ეფრემოვი, მ. შუმაუსკასი, ნ. ფირიუბინი, ე. გარალიკი, ი. ანდროპოვი, პ. აბრასიმოვი.**

# საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ერთობლივი განცხადება

(დასასრული)

ლია გამოიწვიოს მდგომარეობის ახალი გამწვავება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს საშიშროება ევროპის მშვიდობის საქმისათვის.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ თანამედროვეობის ძირითადი საკითხების გადასაჭრელად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მთავრობათა მეთაურების თათბირს, რომელიც განიხილავდა და მიიღებდა გადაწყვეტილებას თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ყველაზე გადაუდებელ საკითხთა შესახებ, რაც უეჭველად შეუწყობდა ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

ორივე მხარე ხაზს უსვამს პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის განსაკუთრებულ უფლებას მიიღონ მონაწილეობა იმ საკითხთა განხილვაში, რომლებიც ეხება გერმანიის პრობლემასა და ევროპის უშიშროებას, კონფერენციებზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და გამოთქვამს სინანულს, რომ საბჭოთა კავშირის მრავალგზის და მტკიცედ წამოყენებულ წინადადებათა წინააღმდეგ დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციამ დღემდე არ მისცა პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას იმის შესაძლებლობა, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ თათბირების მუშაობაში.

ორივე დელეგაცია აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა კვლავაც თანმიმდევრულად იბრძოლებენ იმისათვის, რომ დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან. სავსებით გასაგებია, რომ საკითხის საუკეთესო გადაჭრა იქნებოდა საზავო ხელშეკრულების დადება სრულიად გერმანიის მთავრობასთან ან მთელი გერმანიის წარმომადგენელ სხვა სრულუფლებიან ორგანოსთან. ითვალისწინებენ რა რეალურ ვითარებას, მხარეებს მიაჩნიათ, რომ ახლანდელ პირობებში საზავო ხელშეკრულებას ხელი უნდა მოაწეროს ორივე არსებულმა გერმანულმა სახელმწიფომ. ხოლო თუ დასავლეთის აგრესიულმა წრეებმა ჩაშალეს მშვიდობიანი მოწესრიგება ამ საფუძველზე, საბჭოთა კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა ხელს მოაწერენ საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და დარწმუნებული არიან იმაში, რომ საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ხელს მოაწერენ სხვა სახელმწიფოებიც, რომლებიც ნამდვილად დაინტერესებული არიან ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებით.

იმის გამო, რომ დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის შენარჩუნებას შეიძლება მოჰყვეს საერთაშორისო ვითარების სერიოზული გართულებანი, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციები აცხადებენ, რომ აღარ შეიძლება შეწყნარება მდგომარეობისა, რომლის მიზანია გაურკვეველი დროის მანძილზე დატოვებულ იქნას ოკუპაციის რეჟიმი დასავლეთ ბერლინში.

გერმანიის გაერთიანებამდე ამ საკითხის შესაძლო და სავსებით მომწიფებული გადაჭრა იქნებოდა, რომ დასავლეთ ბერლინს მიენიჭოს თავისუფალი ქალაქის გარანტირებული სტატუსი.

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხები თავიანთ სოლიდარობასა და მხარდაჭერას უცხადებენ გერმანიის ისტორიაში პირველ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც წარმატებით აშენებს სოციალიზმს და აქტიურად იბრძვის ევროპის უშიშროებისათვის. მხარეები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დიდი წვლილი შეიტანა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ღონისძიებებში, რომელთა მიზანია რაც შეიძლება მალე დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, მოწესრიგდეს ბერლინის საკითხი და უზრუნველყოფილ იქნას ევროპის უშიშროება. ხოლო თუ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების კეთილი ნების წინააღმდეგ არ იქნება ლიკვიდირებული არანორმალური მდგომარეობა დასავლეთ ბერლინში, სსრ კავშირი და პოლონეთი დაუჭერენ მხარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებას იგი საჭიროდ მიიჩნევს თავისი სუვერენული უფლებების ფარგლებში დასავლეთ ბერლინში არანორმალური ვითარების აღმოსაფხვრელად.

საბჭოთა კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა სავსებით უჭერენ მხარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადებას იმის შესახებ, რომ თავდაუსხმელობის პაქტი დაიდოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის და ორივე გერმანულმა სახელმწიფომ უარი თქვას ატომურ და რაკეტულ იარაღზე.

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მთავრობებმა კვლავ დაადასტურეს, რომ საზღვარი ოდერსა და ნეისე-ლუჟიცკაიაზე ერთადერთი კანონიერი, სამართლიანი და ურღვევი საზღვარია პოლონეთსა და გერმანიას შორის.

საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს არაერთხელ შეუტანიათ კონსტრუქციული წინადადებანი, რომელთა მიზანი იყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და ქვეყნებს შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნა. საბჭოთა კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა მოითხოვდნენ და მოითხოვენ გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, საყოველთაო განიარაღებას, თანმიმდევრულად მოითხოვენ, რომ სავსებით და აუცილებლად აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი იმ მიზნით, რომ იგი სამუდამოდ ამოღებულ იქნას შეიარაღებიდან.

დასავლეთის სახელმწიფოები და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები ჯიუტად გამოდიან ამ იარაღის აკრძალვის წინააღმდეგ. მხოლოდ იმის გამო, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა ატომური იარაღის გამოყენების მუქარა დაუდეს საფუძვლად თავიანთ საგარეო პოლიტიკას, დღემდე არ მოხერხდა თანამედროვეობის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრა.

სსრ კავშირის მთავრობა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა კვლავ აცხადებენ, რომ ისინი მხარს უჭერენ წინადადებას იმის შესახებ, რომ თავდაუსხმელობის პაქტი დაიდოს ვარშავის ხელშეკრულებისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის მონაწილე ქვეყნებს შორის. ასეთი პაქტის დადება დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იქნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად, ხელს შეუწყობდა ნდობის განმტკიცებას და სადავო საკითხთა მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის პირობების შექმნას.

საბჭოთა მთავრობამ ერთხელ კიდევ განაცხადა, რომ იგი სავსებით უჭერს მხარს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინადადებას, რომ ცენტრალურ ევროპაში შეიქმნას ატომური და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონა. ეს წინადადება იმ შემთხვევაში, თუ იგი განხორციელდა, შეიძლება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდეს ევროპაში დაძაბულობის შენელების, ევროპის კონტინენტზე გამანადგურებელი ატომური ომის წარმოშობის საფრთხის აღმოფხვრის გზაზე.

უატომო ზონა ცენტრალურ ევროპაში შეიძლება უმნიშვნელოვანესი რგოლი გახდეს ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზოლის შექმნაში. ზოლისა, რომელიც გაჰყოფს ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ორ სამხედრო დაჯგუფებას. ასეთი ზოლის არსებობა ატომური ომის საფრთხისაგან გაათავისუფლებდა ქვეყნებს, რომლებიც განლაგებული არიან ბალტიის ზღვის აუზში და სკანდინავიის ნახევარკუნძულზე.

ამჟამად არსებობს იმის პირობები, რომ ბალტიისა და სკანდინავიის რაიონების ხალხებმა განახორციელონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ ბალტიის ზღვაში შეიქმნას სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ზონა; არის ყველა საჭირო შესაძლებლობა იმისათვის, რომ ამ სახელმწიფოებმა უფრო ფართოდ განავითარონ ეკონომიური, მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობა ურთიერთ შორის თავიანთი ხალხების ინტერესებისათვის, რომ მათ შექმნან ურთიერთნდობის ატმოსფერო, რომ ამგვარად ბალტიის ზღვა მშვიდობის ზღვა გახდეს.

ორივე მხარე მიესალმება და მზად არის ერთობლივად განიხილონ ყოველი ინიციატივა, რომლის მიზანია დაძაბულობის შენელების მიღწევა და ამ რაიონებში ურთიერთუშიშროებისა და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა.

საბჭოთა კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა სავსებით უჭერენ მხარს წინადადებას იმის შესახებ, რომ უატომო ზონა შეიქმნას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ამ რაიონის ყველა ქვეყნის უარი იმაზე, რომ თავიანთ ტერიტორიებზე რაკეტული და ატომური ბაზები განალაგონ, დიდი წვლილი იქნება ბალკანეთის მშვიდობისა და უშიშროების საქმეში.

მხარეები ითვალისწინებენ რა იმ ფაქტს, რომ იმპერიალისტური წრეები აძლიერებენ სამხარ მზადებას სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საჭიროა შემდგომი განმტკიცება ვარშავის ხელშეკრულებისა, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში მის მონაწილეთა მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი ფაქტორია. მაგრამ სსრ კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა მხარს დაუჭერენ ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების შემცირების ყოველ გონივრულ გეგმას და სხვა ღონისძიებებს საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად.

მხარეები უცხადებენ მხურვალე სიმპათიას და მხარდაჭერას ყველა კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ხალხს, რომლებიც მამაცურ ბრძოლას ეწევიან კოლონიალიზმის ყველა ფორმის წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

დელეგაციები სავსებით უჭერენ მხარს დიდი ჩინელი ხალხის სამართლიან და სუვერენულ უფლებას გაათავისუფლოს და გააერთიანოს მთელი თავისი მიწები, რომლებიც მოიცავენ ტაივანსა და სანაპირო კუნძულებს. ისინი [illegible] აფასებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას და მის წვლილს მშვიდობისა და პროგრესის საქმეში, სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის განმტკიცების საქმეში და კვლავ გადაჭრით მოითხოვენ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიეცეს თავისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

საბჭოთა კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა გამსჭვალული არიან მისწრაფებით — ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად გააკეთონ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. ისინი იბრძოლებენ ხალხთა მშვიდობის განმტკიცებისა და ყველა ქვეყანას შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაფართოებისათვის ურთიერთ ხელსაყრელ საფუძველზე, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე, მიუხედავად მათი სოციალური სისტემებისა.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია თავიანთი პარტიების მუშაობის შესახებ, განიხილეს პარტიული ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალური პრობლემები.

ორივე პარტიის წარმომადგენლებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების დეკლარაცია, რომელიც მიღებულია მოსკოვში 1957 წლის ნოემბერში, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მოქმედების საბრძოლო პროგრამა გახდა. ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა დეკლარაციის დასკვნების სისწორე. ორივე პარტიას, რომლებიც დეკლარაციისა და მშვიდობის მანიფესტის პრინციპების ერთგული არიან, თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია კვლავაც მტკიცედ დაიცვან ეს პრინციპები და იდეები სოციალისტური ქვეყნებისა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების ინტერესებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე.

ორივე პარტიას თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია კვლავაც აწარმოონ შეურიგებელი ბრძოლა რევიზიონიზმის, როგორც კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში თანამედროვე ეტაპზე მთავარი საფრთხის წინააღმდეგ, აგრეთვე დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ, რომლებიც იწვევენ მასებისაგან მოწყვეტას.

ამჟამად მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშძლე ძალის ახალი დამადასტურებელი გახდა სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, რომლებმაც დასახეს მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარებისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის და სოციალისტური ბანაკის ერთიანობის შემდგომი განმტკიცების ახალი დიდებული პერსპექტივები. ყრილობის მიერ მიღებული შვიდწლიანი გეგმის შესრულება იქნება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების უდიდესი ტრიუმფი, კაპიტალიზმის წინაშე სოციალიზმის უპირატესობის ახალი დამაჯერებელი დადასტურება.

დიდმნიშვნელოვანი წვლილი საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, პოლონეთში სოციალიზმის შემდგომი მშენებლობის საქმეში იყო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებანი.

განხილულ იქნა აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების და კონტაქტების გაფართოების, აგრეთვე პარტიული მუშაობის გამოცდილების გაზიარების გაფართოების კონკრეტული ღონისძიებანი. ორივე მხარე კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის კონტაქტები და მათი თანამშრომლობა უფრო მჭიდრო და ყოველმხრივი გახდა. განუწყვეტლივ ფართოვდება საბჭოთა კავშირის ოლქებისა და ქალაქების კავშირი პოლონეთის სავოევოდოებთან და ქალაქებთან.

ორივე პარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შემდეგშიც გააღრმავონ და გააფართოონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მეგობრული ურთიერთობა და ძმური თანამშრომლობა და პარტიული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაცვლა. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის ურღვევი ერთიანობა, რომელიც ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს, ემსახურება ყველა მშრომელის ინტერესებს, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეს.

* * *

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის საპასუხო მეგობრული ვიზიტი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, რომელიც გახდა ორივე ქვეყნის ძმური მეგობრობისა და კავშირის მკაფიო დემონსტრაცია, ხელს შეუწყობს საბჭოთა ხალხისა და პოლონელი ხალხის, მთელი სოციალისტური ბანაკის ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და გაფართოებას და სამსახურს გაუწევს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე**
**ნ. ხრუშჩოვი**

**პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი**
**ვ. გომულკა**

**პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე**
**ი. ცირანკევიჩი**

ვარშავა, 1959 წლის 22 ივლისი.

# დიადი ერთიანობა

## მიტინგი სპორტის სასახლეში

23 ივლისს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში გაიმართა მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის დაბრუნებას მოსკოვში.

სადღესასწაულოდ მორთულ სასახლის დარბაზში შეიკრიბნენ სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, ტრანსპორტის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები. საბჭოთა არმიის ჯარისკაცები, ოფიცრები და გენერლები. ესწრებიან უცხოელი დიპლომატები, საბჭოთა და საზღვარგარეთის პრესის წარმომადგენლები.

შეკრებილნი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, კ. ე. ვოროშილოვს, ნ. გ. იგნატოვს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიქოიანს, ე. ა. ფურცევას, ნ. ს. ხრუშჩოვს, პ. ნ. პოსპელოვს, დ. ს. პოლიანსკის, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს სსრ კავშირში ტადეუშ გედესა და სხვებს, როცა ისინი პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

მიტინგი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. უსტინოვმა.

შემდეგ სიტყვა მიეცა ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის ხარატს მ. ვ. ობუხოვს.

— პოლონეთში თქვენი ყოფნის დროს, — ამბობს ამხ. ობუხოვი, — ჩვენი გული და ფიქრები თქვენთან იყო, ჩვენ გულწრფელად გვახარებდა ის, რომ გულთბილად და გულითადად, ძმურად ხვდებოდათ პოლონელი ხალხი. ვამაყობთ, რომ პოლონეთის რესპუბლიკის წარმატებებს ხელი შეუწყო ჩვენმა შრომამაც, საბჭოთა ადამიანების შრომამ. მთელი საბჭოთა ხალხი შემოქმედებითი ძალების უმაღლესი აღმავლობით შრომობს იმისათვის, რომ განახორციელოს პარტიის XXI ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი, რათა ვადამდე შეასრულოს შვიდწლედი.

მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელთა სახელით პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს გულითადად მიესალმა საბჭოთა მეურნეობა „ლესნიე პოლიანის“ ბრიგადირი ვ. ვ. სემენიშჩევა, დედაქალაქის ინტელიგენციის სახელით — არქიტექტორი ვ. ვ. ბოგდანოვი, მოსკოვის ახალგაზრდობის სახელით — მე-2 საათის ქარხნის ამწყობი რ. კირპიჩევა.

თავიანთ სიტყვებში გამოსულებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა მოგზაურობა პოლონეთში კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა და პოლონელი ხალხების მეგობრობას, განამტკიცებს სოციალისტური ბანაკის ძლიერებას, ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს. მათ გულწრფელად უსურვეს მოძმე პოლონელ ხალხს ახალი დიდი წარმატებანი ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში.

მიტინგის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშითა და მისალმების შეძახილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს, როცა იგი ტრიბუნაზე ავიდა. თავის სიტყვაში, რომელიც დამსწრეებმა არაერთგზის შეაწყვეტინეს ტაშით, ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დელეგაციის წევრებმა ყველგან ნახეს პოლონელი ხალხის მეგობრული სიმპათიის გრძნობათა გამოვლინება საბჭოთა ხალხისადმი, საბჭოთა კავშირისადმი. ამ ძმურ გრძნობათა გამოვლინება, თქვა მან, ჩვენ კარგად გვესმის. იგი მოწმობს, რომ პოლონელ ხალხს სწორად ესმის პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მნიშვნელობა, მეგობრობისა, რომელსაც სარგებლობა მოაქვს ორივე ქვეყნის ხალხებისათვის; მთელი სოციალისტური ბანაკისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის.

ერთიანობა ჩვენი მსოფლმხედველობისა, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური მოძღვრება, წარმოშობს მოქმედების ერთიანობას, ფართო ყოველდღიურ თანამშრომლობასა და ურთიერთგაგებას ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

შეეხო რა ისტორიულ წარსულს, ამხ. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ დრო და დრო რუსეთსა და პოლონეთს შორის იყო ხოლმე საკმაოდ რთული პერიპეტიები, რაც ამწვავებდა ურთიერთობას და ომებსაც კი იწვევდა. დასავლეთში, განაგრძო მან, არიან შავბნელი ძალები, რომლებიც ცდილობენ წარსულში ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ჩრდილოვანი მხარეები გამოიყენონ იმისათვის, რომ დაარღვიონ ჩვენი მეგობრობა. მაგრამ ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ წარსულმა თუნდაც ოდნავ მაინც მოახდინოს გავლენა ჩვენს თანამედროვე ურთიერთობაზე, რომ მან დააბნელოს ადამიანთა გონება, ხელი შეუშალოს მათ სწორად შეაფასონ დღევანდელი მდგომარეობა. ჩვენი ორი ქვეყნის მთელი წარსული შავბნელი და მძიმე ურთიერთობისათვის, თქვა ამხ. ხრუშჩოვმა, ისტორიული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ რუსეთისა და პოლონეთის მმართველ კლასებს, რომლებიც ჩაგრავდნენ მშრომელებს და თესავდნენ ეროვნულ შუღლს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში ბურჟუაზია დღემდე ახერხებს მოატყუოს ხალხთა მასები ნაციონალისტური ლოზუნგებით. მხოლოდ მუშათა კლასის, მშრომელთა ღონისძიებების გაერთიანებას როგორც ყოველი ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით, მხოლოდ ყველა ქვეყნის მუშათა მჭიდრო ინტერნაციონალურ კავშირს შეუძლია მოუტანოს მშრომელებს კაპიტალისტური მონობისაგან განთავისუფლება.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას განსაზღვრავს მეგობრობა, ამხანაგობა და ძმური თანამშრომლობა. დელეგაციის მოგზაურობამ კვლავ დაადასტურა ეს. საუბრები საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებსა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის და პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობდა სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით. სადავო საკითხები არ ყოფილა, და არც შეიძლებოდა წარმოქმნილიყო მოლაპარაკების მსვლელობაში. პირიქით, აზრთა გაზიარებამ შემდგომ განამტკიცა ურთიერთგაგება.

დაახასიათა რა ურთიერთობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას შორის, ამხ. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორივე პარტია ერთიანია პრინციპულ იდეოლოგიურ დებულებათა გაგებაში, რომლებიც ჩამოყალიბებულია თორმეტი კომუნისტური პარტიის 1957 წლის დეკლარაციაში.

ჩვენ მიგვაჩნია, განაცხადა ამხ. ხრუშჩოვმა, რომ მთავარი საფრთხე საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში არის რევიზიონიზმი. ორივე პარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ შეანელონ თავიანთი ღონისძიებანი რევიზიონიზმის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში. ამავე დროს ამხ. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ რევიზიონისტების წინააღმდეგ ბრძოლამ არ უნდა დაჩრდილოს დოგმატიკოსების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელთა მოქმედებას შეუძლია მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საერთაშორისო მუშათა მოძრაობას.

შეხედულებათა სრული ერთიანობა გვაქვს ჩვენ საერთაშორისო საკითხებზეც, განაცხადა მან. ჩვენ მხარს ვუჭერთ ერთ აზრს, რომ საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ ჩავშალოთ მესამე მსოფლიო ომისათვის მზადება, რომელშიც მთავარ როლს ასრულებენ დასავლეთ გერმანიის რევანშისტები კანცლერ ადენაუერის მეთაურობით. ახლა ის დრო როდია, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, როცა მილიტარიზმისა და აგრესიის ძალებს შეეძლოთ დაუბრკოლებლად ეკეთებინათ თავიანთი შავბნელი საქმე. მშვიდობის ძალებს, რომლებიც ეყრდნობიან სოციალისტური ბანაკის დარაზმულობასა და ძლიერებას, ყველა ხალხის მისწრაფებას თავიდან აიცილონ ომი, აქვთ ყველა შესაძლებლობა ალაგმონ აგრესორები.

შეეხო რა ეგრეთწოდებულ „დამონებული ქვეყნების კვირეულს“, რომელიც გამოცხადებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის, ყველა სოციალისტური ქვეყნის მზარდ წარმატებათა წინაშე შიშით ამერიკელი იმპერიალისტები და მონოპოლისტები დგამენ ისეთ უხეშ ნაბიჯებს, რომლებსაც არ შეიძლება სხვაგვარად ვუწოდოთ, თუ არ როგორც აშკარა ჩარევა ჩვენს საშინაო საქმეებში, ყველაზე უცერემონიო დამოკიდებულება სუვერენული დამოუკიდებელი ქვეყნებისადმი, რომლებიც, ისევე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები.

ამხ. ხრუშჩოვმა თქვა, რომ ასეთი „კვირეულის“ მოწყობა ახლა, როცა დაისახა საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, როცა ისახება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების პერსპექტივები, მოწმობს უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ ზოგიერთი წრე ხელმძღვანელობს არა გონებით, არამედ შიშით ახალი სამყაროს მზარდი ძალების წინაშე.

პროტესტს ვაცხადებთ რა საშინელი ცილისწამების წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია სოციალიზმის ქვეყნების, ნამდვილად თავისუფალი, დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყნების წინააღმდეგ, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ხრუშჩოვმა, ჩვენ არ წამოვეგებით იმპერიალისტთა პროვოკაციას, მომავალშიც მტკიცედ განვახორციელებთ მშვიდობის პოლიტიკას, თავიანთი თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა მხარდაჭერის პოლიტიკას. ჩვენ ვეუბნებოდით და ვეუბნებით ბატონ იმპერიალისტებს, რომ სოციალისტური ბანაკი ძლიერი და ურღვევია. ჩვენ წვრილმან პროვოკაციებზე მაღლა ვდგავართ, მაგრამ მტკიცედ ვგმობთ მათ და გულწრფელად ვაცხადებთ — თქვენს მიზანს ვერასოდეს ვერ მიაღწევთ! სსრ კავშირი, ყველა სოციალისტური ქვეყანა მტკიცე რწმენით ივლიან თავისი გზით დიადი მიზნისაკენ, მტკიცედ იბრძოლებენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

ჩვენ გვაქვს ყველა საფუძველი განვაცხადოთ, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ სოციალიზმის ბანაკი არასოდეს არ ყოფილა ისეთი ერთიანი და ძლიერი, როგორც ახლა.

• • •

მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი გადაიქცა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ურღვევი ერთიანობის მკაფიო მანიფესტაციად, მანიფესტაციად საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა თავისი კომუნისტური პარტიისადმი, თავისი მთავრობისადმი, რომელიც მტკიცედ დგას მშრომელთა ინტერესების, მთელი მსოფლიოს მშვიდობის სადარაჯოზე. (საქდესი).

# სადილი საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

**ვარშავა**, 22 ივლისი. (**საქდესის სპეც. კორ.**). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ზავადსკიმ დღეს ქალაქგარეთ ვილაში სადილი გამართა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

სადილზე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან ერთად იყვნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

სადილზე ა. ზავადსკიმ და ნ. ს. ხრუშჩოვმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

სადილმა გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

# დარბაზობა ვარშავაში სახალხო პოლონეთის ეროვნული დღესასწაულის გამო

**ვარშავა**, 22 ივლისი. (**საქდესის კორ.**). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა დღეს დარბაზობა გამართა ეროვნული დღესასწაულის — სახალხო პოლონეთის 15 წლისთავის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, პგმპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზავადსკი, პგმპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოს წევრები, გაერთიანებული გლეხთა პარტიის, დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი მოღვაწეები და სხვ.

დარბაზობის მონაწილეებს სიტყვით მიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა.

# პოლონეთიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

23 ივლისს ვარშავიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. დელეგაციამ მოძმე პოლონეთში დაჰყო ათი დღე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით.

ვნუკოვოს აეროდრომზე შეიკრიბა მოსკოვის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ე. ა. ფურცევა, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. პოლიანსკი და სხვები.

აეროდრომზე შეკრებილნი გულითადად მიესალმნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვსა და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებს. (საქდესი).

# 1959 წლის მოსავლის ბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმის შესრულება 20 ივლისისათვის

| | პროცენტობით | | |
|---|---|---|---|
| საქართველოს კონსერვტრესტის ხაზით: | | ახალქალაქის | — |
| გურჯაანის რაიონი | 3.7 | ახალციხის | — |
| ლაგოდეხის | 12,0 | თელავის | 4,3 |
| წყალტუბოს | 3,8 | ახმეტის | — |
| სამტრედიის | 36,6 | დმანისის | — |
| წულუკიძის | 14,1 | ვანის | — |
| სულ | 13,2 | აბაშის | 1,6 |
| ცეკავშირის ხაზით: | | აფხაზეთის ასსრ | 12,8 |
| ბორჯომის რაიონი | 2.8 | აჭარის ასსრ | — |
| თეთრი წყაროს | 0,5 | სამხრეთ ოსეთის ა. ო. | — |
| ყვარლის | — | სამტრედიის რაიონი | — |
| სიღნაღის | 11,7 | თერჯოლის | — |
| დუშეთის | — | სულ | 8,8 |
| კასპის | 0,4 | თბილხილბოსტანვაჭრობის ხაზით: | |
| საგარეჯოს | 0,7 | სამგორის რაიონი | 17,0 |
| ბოლნისის | — | მარნეულის | 10,3 |
| ხაშურის | — | მცხეთის | 2,5 |
| გორის | — | წალკის | — |
| ქარელის | — | სულ | 18,0 |
| საჩხერის | — | მთლიანად საქართველოს სსრ-ში | 8,8 |
| ადიგენის | — | | |

**საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ხალხი უმადლის

# ღვაწლმოსილი



მ. ტყავაძე

* * *

მასწავლებელი! — ვის არ ასძგერებია გული ამ სახელის მოგონებაზე, ვის არ გაუმეორებია იგი სიყვარულით, მით უფრო, თუ თვალწინ გვიდგას ის, ვინც ჩვენი ზრდისა და დავაჟკაცების აკვანთან მდგარა, ვისაც პირველად აუხელია ჩვენთვის თვალი, შეუყვარებია ჩვენთვის წიგნი — ცოდნის წყარო, ვისაც ჩვენთვის სულიერი დიდობა გაუწევია.

ვინ არ მოიგონებს ასეთი სიყვარულის გრძნობით მართა ტყავაძეს სიღნაღის რაიონში. ორმოცდახუთი წელი დედობრივი მზრუნველობით უზრდია მას თაობები; ვინ მოსთვლის, მის აღზრდილთაგან რამდენი „აფრენილა" სკოლის მერხიდან, როგორც არწივის მართვე ბუდიდან, დავაჟკაცებულა და სამშობლოსა და ხალხის სამსახურში ჩამდგარა.

გული სიამაყით ევსება თმაშევერცხლილ პედაგოგს, როცა მოიგონებს თავის აღზრდილებს. ზოგი თვით არის მასწავლებელი და თაობებს ზრდის, ზოგი აგრონომია, ზოგიც ექიმი, ინჟინერი, პარტიული თუ საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი, ზოგიც კულტურის ფრონტის მოღვაწე. და აი ისინი ახლა სიღნაღის რაიონული კულტურის სახლის ნათელ დარბაზში შეკრებილან. აქ არიან მოსწავლეები და მათი მშობლები, მასწავლებლები; ცოცხალ ყვავილთა სურნელი ტრიალებს ირგვლივ. საზეიმო განწყობილება სუფევს. ყველას სიყვარული და სიხარული აღბეჭდია სახეზე.

ეს საზეიმო შეკრება მათ მიუძღვნეს სიღნაღის პირველი საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს მართა დავითის ასულ ტყავაძეს, რომელიც 45 წლის მანძილზე დაუღალავად და უანგაროდ ემსახურებოდა მოსწავლე ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს.

მხცოვანი მასწავლებლის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა პირველი საშუალო სკოლის დირექტორი გ. ჟუჟუნაშვილი. იგი დამსწრეთ აცნობს ამ კეთილშობილი ადამიანის ბიოგრაფიას. მ. ტყავაძე დაიბადა 1894 წელს. სწავლობდა ჯერ ანაგის სკოლაში, მერე 1911 წელს წარჩინებით დაამთავრა ბოდბის ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი, შემდეგ ქალთა სამასწავლებლო სემინარია. ეს იყო 1914 წელს. იგი მაშინვე დიდი სიყვარულით შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას, თავის ცოდნას და გამოცდილებას ათეული წლების მანძილზე არ იშურებდა ახალგაზრდობის აღზრდისათვის. პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად მ. ტყავაძე ეწეოდა მშრომელთა შორის კულტურულ-მასობრივ მუშაობას, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო სიღნაღისა და ანაგის ქართული თეატრების შექმნის საქმეში, წარმატებით მუშაობდა იქაურ თეატრალურ დასებში, სპექტაკლებში ხშირად მთავარი როლები შეუსრულებია.

ხანგრძლივი და უმწიკვლო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს მ. ტყავაძე — იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და რამდენიმე მედლით.

ღვაწლმოსილ პედაგოგს მიესალმნენ მისი ყოფილი მოსწავლეები, კოლეგები.

სალამოზე გულთბილი სიტყვა წარმოთქვა მ. ტყავაძემ. მან მადლობა გადაუხადა პარტიას, მთავრობას, ხალხს თავისი მოღვაწეობის დაფასებისათვის.

მ. ტყავაძის მაგალითი მუდამ შთააგონებს ახალგაზრდობას შრომისადმი სიყვარულს, სამშობლოს, ხალხის სიყვარულს.

შრომა ყოველთვის დაფასებულია ჩვენს ქვეყანაში. მართა ტყავაძე ჯეროვნად იმკის იმას, რაც დათესა — ხალხის სიყვარულს.

ს. ბეროშვილი.

# ძველი მეტალურგიის ნაშთები

წელს მაისიდან სოფელ ბოლნისის მიდამოებში მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური განყოფილების ექსპედიცია, რომელიც ბოლნისში სწავლობს ძველი სამთამადნო გამონამუშევრებისა და მეტალურგიის საკითხებს.

ექსპედიციამ ქვემო ბოლნისში აღმოაჩინა ანტიკური ხანის (VI-IV საუკუნეები ჩვ. წელთაღრიცხვამდე) რკინის სადნობი ქურა. ასეთივე ქურა და ნამოსახლარი ნაპოვნია წუღრულაშენის ხევში, რაც მიეკუთვნება XI-XII საუკუნეებს.

სოფელ ბოლნისის ჩრდილოეთით ეგრეთწოდებულ „ლამაზ" გორაკზე მიკვლეულია ადრეფეოდალური ხანის ეკლესია და მასთან დაკავშირებული ნასახლარები, ადრეფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი მეტად საინტერესო არქეოლოგიური მასალა, სამნავიანი ბაზილიკა და ნასახლარი 12 სათავსით.

ყურადღებას იპყრობს ფერად ტუფზე ნაკვეთი ბოლნური ჯვრები. ზოგიერთ მათგანს შემორჩენილი აქვს წარწერები. განსაკუთრებით საინტერესოა საერო ხელისუფლის (პიტიახშის) გამოსახულება. იგი სანიმუშოდ არის შემორჩენილი. აქვე მარანი და სამეურნეო დანიშნულების მრავალი ნივთი.

ექსპედიციას ხელმძღვანელობს უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ი. გრძელიშვილი.

ა. სეხნიაშვილი.

# რამდენიმე დღე პარიზში

## საუბარი გ. ტოვსტონოგოვთან

**როგორც** ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ლენინგრადის გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, ლენინური პრემიის ლაურეატი გიორგი ტოვსტონოგოვი ამ ცოტა ხნის წინათ ლენინგრადის პუშკინის სახელობის თეატრთან ერთად იყო პარიზში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. პარიზელმა მაყურებელმა ნახა ამ თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი ვს. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია", რომლის დადგმაც გ. ტოვსტონოგოვს ეკუთვნის. 18 ივლისს გიორგი ტოვსტონოგოვი თბილისში ჩამოვიდა. გუშინ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრის კოლექტივთან ერთად თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში შეხვედრა მოუწყო ტოვსტონოგოვს. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტიც შეხვდა მას და სთხოვა მოეთხრო თავის პარიზულ შთაბეჭდილებებზე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ საუბრის მოკლე შინაარსს:



ჩემთვის დიდად სასიხარულოა, რომ კვლავ მშობლიურ თბილისში ვარ. უფრო ადრეც უნდა ჩამოვსულიყავი, ჩვენი თეატრის გასტროლების დაწყებისთანავე. მაგრამ ისე მოხდა, რომ პარიზში წავედი. თუმცა, როგორც იტყვიან, ერთი თვალი მაინც აქეთ მეჭირა. ჩვენი თეატრი პირველად ჩამოვიდა საქართველოში და ამიტომ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მეგობრებმა სასიხარულო ამბავი დამახვედრეს: თბილისელებს მოეწონათ ჩვენი სპექტაკლები. ჩვენი შემდგომი მუშაობისათვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ახლა კი კვლავ პარიზს დავუბრუნდეთ.

პარიზი შხაპუნა წვიმით შეგვხვდა. აეროდრომზე იყვნენ საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ორგანიზატორები, ახალგაზრდა კრიტიკოსთა ასოციაციის წევრები, თეატრალური მოღვაწეები, ფოტოკორესპონდენტები და კორესპონდენტები. დამხვდურთა შორის ნაცნობი სახე შევნიშნე. ეს გახლდათ გამოჩენილი ფრანგი რეჟისორი ანდრე ბარსაკი, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ყოფნისას გავიცანი. ბარსაკს ნანახი ჰქონდა ჩვენი სპექტაკლი „ოპტიმისტური ტრაგედია" და ამიტომ შევეკითხე, პარიზი ჩვენს სპექტაკლს როგორ მიიღებს-მეთქი. „გამარჯვება გელით", — ღიმილით მიპასუხა მან. უნდა გამოვტყდე, რომ ცოტა გულზე მომეშვა.

პრემიერა მეორე დღეს უნდა შემდგარიყო. დავიწყეთ გაცხარებული მზადება. სპექტაკლები უნდა გაგვემართა სარა ბერნარის თეატრის შენობაში, სადაც შარშან ჩვენი სამხატვრო თეატრი გამოდიოდა.

ფარდა რომ აიხადა და სპექტაკლი დაიწყო, ადვილი მისახვედრია, რას განიცდიდა ყველა ჩვენგანი.

ახლა მაყურებელთა დარბაზს არ იკითხავთ?

მიდის მეჯლისის უკანასკნელი სცენა. იხმება კომპოზიტორ ყარა ყარაევის მეზღვაურული ვალსის შესანიშნავი ჰანგები და სიბნელეში ამჩნევ, თვალზე როგორ აუციმციმდა მაყურებელს პირველი ცრემლი. დამშვიდობების ჰანგები სალაშქრო მარშში გადაიზარდა. მეზღვაურთა ნაწილი სამხრეთისკენ მიიწევს. ფრანგი მაყურებლის მქუხარი ტაშის და „ბრავოს" ძახილში ფარდა მოწყვეტილად დაეშვა... მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ სპექტაკლის წარმატება უზრუნველყოფილია, რომ საბჭოთა თეატრის მაღალი სახელი არ შეგვირცხვენია.

მეორე დილას და მომდევნო დღეებშიც პარიზის გაზეთებში იბეჭდებოდა რეცენზიები, რომლებიც ჭეშმარიტად გვახარებდა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მემარჯვენე კონსერვატიულმა პრესამაც კი, რომელმაც გ. ვიშნევსკის პიესა „განსაკუთრებულ თემაზე დაწერილ, პროპაგანდისტულ" ნაწარმოებად მოიხსენია, იძულებული იყო საბჭოთა თეატრის მაღალი ოსტატობა აღენიშნა. მთელი ათი დღე სპექტაკლი პარიზელებს შორის შეუნელებელი წარმატებით სარგებლობდა.

ჩემს კოლეგებს — მსახიობებს ყოველ საღამოს უხდებოდათ თამაში, მე კი შედარებით თავისუფალი ვიყავი, რამაც საშუალება მომცა გავცნობოდი პარიზის თეატრებს. ჩემთვის ძნელია საერთო დასკვნების გაკეთება, ამიტომ ნანახ სპექტაკლებზე ჩემს შთაბეჭდილებებს მოგითხრობთ.

პარიზელ მაყურებელში ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს სპექტაკლი „კარგი წვნიანი კერძი", რომელიც თეატრ „ატელიეში" იდგმება. ფრანგების გონებამახვილური გამოთქმით „კარგი წვნიანი კერძი" მარჯვედ გატარებულ ცხოვრებას ნიშნავს. სპექტაკლის მთელი ფილოსოფია ამ თქმაშია ჩაქსოვილი. სპექტაკლი რეალისტური ფორმებით არის გადაწყვეტილი და თანამედროვე ბურჟუაზიულ მორალს ობიექტურად ამჟღავნებს.

ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა შესანიშნავმა ფრანგმა მიმურმა აქტიორმა მარსელ მარსომ. „ამბიგუს" პატარა თეატრში აქტიორთა მცირე დასით მ. მარსო წარმოდგენებს ძველი, ხალხური პანტომიმის სახით მართავს. ამ მსახიობის ოსტატობა ბრწყინვალეა. სცენაზე წარმოდგენით მ. მარსო ილუზიის განაცვიფრებელ ეფექტს აღწევს. ასე მგონია, რომ მისი შემოქმედება ძალიან უახლოვდება ჩაპლინისეულ შეხედულებას სამყაროზე. მ. მარსოს ხელოვნება ძირითადად ტრაგიკომედიურია. პატარა ობივატელი ფრანგი მრავალნაირ კომედიურ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რომელთა მიღმა ღრმა ადამიანური სიმწარე და ნაღველი იგრძნობა.

ვნახე აგრეთვე ფრანგი მსახიობის და რეჟისორის ჟან ლუი ბაროს თეატრში სპექტაკლი „პარიზის ცხოვრება". მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ოფენბახს. ეს კლასიკური ოპერეტა, რომელიც დრამატულ თეატრში დადგეს, სეზონის ერთ-ერთ საყურადღებო მოვლენად წარმოადგინეს: ბევრი რამ ამ სპექტაკლში საფრანგეთის დღევანდელობას ამჟღავნებს და საჭირბოროტოდ ჟღერს.

საინტერესო თეატრალურ მოვლენად მეჩვენა პარიზის „მრგვალი თეატრი". მისი შენობა საცირკო ამფითეატრს მოაგაგონებთ, თავისი არენა-სცენით, რომლის გარშემო მაყურებელი ზის.

„თეატრი სიტე" — ასე უწოდა ახალგაზრდა მსახიობთა ჯგუფმა თავის სტუდიას — დიდი ხანი არ არის, რაც მონპარნასზე გაიხსნა. ამ დასმა დადგა დრამატურგ მარივოს კომედია „სიყვარულის მეორე სიურპრიზი". რეჟისორმა სიმახვილეს მოკლებული ნაწარმოებიდან შეძლო შეექმნა ყოფაცხოვრებითი დეტალებით აღსავსე და გონებამახვილური სპექტაკლი. ყველაფერი ეს ცოცხლად, მხიარულად, სხარტი ფრანგული იუმორით არის წარმოდგენილი.

და მაინც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად აქტიორული და რეჟისორული ოსტატობისა, ხანდახან გწყინს, რომ მათი დრამატურგიული ნაწარმოებები მოკლებულია დიდ შინაგან შინაარსს.

რამდენიმე სპექტაკლი ვინახული, მაგრამ მაინც ვერ მივხვდი, რა ინტერესები ამოძრავებს დღეს ფრანგ ხალხს, ვერ მივხვდი, რა სიძნელეები აწუხებს, რა აქვს საზრუნავი, რა ახარებს, რა აწუხებს. ყველა სპექტაკლი უდარდელი, ფუქსავატურია, ფრანგული საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, მშრომელი ფენების ცხოვრებას არ ასახავს.

პარიზის თეატრებში სპექტაკლების გასინჯვაზე ფრანგული ხელოვნების მრავალ მოღვაწეს შევხვდი. ჩემი აზრით, ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ დიდ და გამოჩენილ მსახიობებსაც კი სრული უპერსპექტივობა და რეალობას მოკლებული მომავალი აშფოთებთ.

ცხოვრებისა და შემოქმედების ბედიღბლის გაურკვევლობაზე ბევრი ფრანგი მოღვაწე მელაპარაკა. ეს საკითხი მათ ძლიერ აღონებთ, რადგან არ იციან, ხვალინდელი დღე რა სიმწარეს უმზადებთ. მეკითხებოდნენ, საბჭოთა კავშირში თეატრის საქმე როგორ არის დაყენებული. ვისაც კი ვეტყოდი, რომ ჩვენ თეატრებს სახელმწიფო ბიუჯეტი აქვთ, მსახიობები, რეჟისორები და დანარჩენი თეატრალური მოღვაწეები უზრუნველყოფილი არიან მუდმივი სამუშაოთი, ხოლო მოხუცებულობაში პენსიებს იღებენ-მეთქი, დიდ გაკვირვებას გამოთქვამდნენ.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ სპექტაკლმა „ოპტიმისტურმა ტრაგედიამ" პარიზელ მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და, ჩვენი აზრით, ფრანგი კრიტიკოსებისა და საზოგადოებრიობის ობიექტური, მაღალი შეფასება მიიღო.

დასასრულ, როგორც დაგვიანებულმა სტუმარმა, გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით ერთხელ კიდევ მინდა მადლობა გადავუხადო ყველა თბილისელს იმ აღმაფრთოვანებელი ყურადღებისათვის, რომელიც ჩვენმა თეატრმა იგრძნო ხელოვნებისა და პოეზიის ამ შესანიშნავ ქალაქში.

* * *

**სურათზე:** სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი გ. ტოვსტონოგოვი.

ფოტო ო. არობელიძისა.

# თუმც გაერია თმაში ჭაღარა

ეს იყო 30 წლის წინათ. ღარიბი გლეხის შვილმა, ჭაქვინჯელმა ჭაბუკმა დიდი ეკონომიური სიძნელეებით დაამთავრა შვიდწლიანი სკოლა და მუშაობა დაიწყო წალენჯიხის კოოპერაციულ კინომახანაგობა „შუქურაში". ეს იყო ე. წ. მუნჯი კინოსურათების დემონსტრირების პერიოდი. ორი თვის შემდეგ იგი მუნჯი პროექტორის მექანიკოსია. სოფლის მოსახლეობაში დიდ აღფრთოვანებას იწვევს ჭაბუკის გამოჩენა — მას სიხარული მოაქვს!..

ლაპარაკია ტერენტი ხუბულავაზე... 1934 წელს იგი ხმოვანი კინოს მექანიკოსთა პირველ რესპუბლიკურ კურსებზეა. წარმატებით ამთავრებს კურსებს და იძენს ამ საინტერესო სპეციალობას. ტ. ხუბულავა ჯერ ზუგდიდში, ხოლო შემდეგ წალენჯიხაში ინიშნება კინობაზის გამგედ. 1947 წელს ზუგდიდშია უფროს კინომექანიკოსად, ხოლო უფრო გვიან კინოფიკაციის ზუგდიდის რაიგანყოფილების უფროსად. ახლა კი უკვე ჭაღარაშერეული ტ. ხუბულავა — ყოფილი მუნჯი კინოს მექანიკოსი — ზუგდიდის კინოთეატრ „ოქტომბრის" დირექტორია.

დიდძალ მაყურებელს იზიდავს ზუგდიდის კინოთეატრი „ოქტომბერი", სადაც მაღალხარისხოვნად აჩვენებენ ფილმებს. ეს სანახაობითი დაწესებულება რაიონის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის სამსახურში დგას, შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში უწყობს ხელს მშრომელებს. ბუნებრივია, რომ მოწინავე კინოთეატრმა შარშან გეგმა 108 პროცენტით შეასრულა. წელს უკეთესი მაჩვენებლებისათვის იბრძვის. იგი ეჯიბრება ცხაკაიას კინოთეატრს. წელსაც გეგმას გადაჭარბებით ასრულებს.

„ოქტომბერში" მოეწყო ახალი კინოაპარატები, სტაციონარული დანადგარები. ტ. ხუბულავამ აღზარდა კინომუშაკთა ახალგაზრდა, საქმის მოყვარული კადრები: ი. კვარაცხელია, ქ. ფუტკარაძე, ვ. ბერაია, გ. მებონია და სხვები.

თავის სამსახურებრივ მოვალეობასთან ერთად ტ. ხუბულავა პირნათლად ასრულებს საზოგადოებრივ დავალებებს. იგი ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებასთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანია. სისტემატურად ეწყობა რაიონის კინომექანიკოსთა სემინარი, სადაც შეფი — კინომექანიკოსი ტ. ხუბულავა კითხულობს ლექციებს, დამსწრეთ ესაუბრება ფილმების საუკეთესო ჩვენების მოწინავე გამოცდილებასა და მეთოდებზე.

1954 წლის თებერვალში ტ. ხუბულავას მუშაობის 25 წელი შეუსრულდა. სიყვარულით აღინიშნა ეს დღე. უბრალო, საქმისათვის თავდადებულ ადამიანს მიესალმებოდნენ მეგობრები, კინომუშაკები, კინომოყვარულები... იყო მილოცვის დეპეშებიც, მათ შორის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროდან.

„მოგილოცავთ კინოფიკაციის დარგში თქვენი ენერგიული, უანგარო მუშაობის 25 წლისთავს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის — კინოფიკაციის წარმატებისათვის".

ტ. ხუბულავა დაჯილდოებულია მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის". 1957 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ ტ. ხუბულავა დააჯილდოვა სამკერდე ნიშნით.

ტ. ხუბულავა დღესაც ახალგაზრდული ენერგიით უძღვება თავის საყვარელ საქმეს და მშრომელებიც მადლიერი ჰყავს.

გ. გვაზავა,
ე. ჩიქავა.



ტ. ხუბულავა

# ეს იყო ერთხელ...

კართან უცბად ჩოჩქოლი ატყდა:

— ვინ არის ეგ თავზე ხელაღებული!

— ვაი სირცხვილო, რა უშვერი სიტყვებით ილანძღება...

— დასჯის ღირსია, — ალაპარაკდნენ მოქალაქენი. შეზარხოშებული გივი ცქიტიშვილი კი მაინც თავისას განაგრძობდა, ხელებს შლიდა, იმუქრებოდა, თავშეყრილებს „ორსართულიან" სიტყვებს სეტყვასავით აყრიდა...

— რაო, რაო? უნივერმაღის კარს ჩაკეტავთ? მე თქვენ გიჩვენებთ!.. — იმუქრებოდა. მრავალ იქ დამსწრეს შეურაცხყოფა მიაყენა.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დამნაშავის გზა მოკლე აღმოჩნდა. გივი მილიციის განყოფილებაში მიიყვანეს. აქტი შეუდგინეს.

ამ ამბის შეტყობამ თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივში ჯერ გაოცება, მაგრამ შემდეგ მრისხანება გამოიწვია.

...კლუბში ტევა არ იყო. აქ მოვიდნენ სახელოვანი ადამიანები, ჩვენს რესპუბლიკაში ცნობილი მემანქანეები. ინჟინერტექნიკოსები. კრების დაწყებამდე გაცხოველებული სჯა-ბაასი გაიმართა. გივი ცქიტიშვილი თავჩაქინდრული იდგა, მის გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა: რა მოხდება, როგორ წარიმართება საქმეო, ფიქრობდა, ნერვიულობდა.

ახალგაზრდას თვალწინ წარმოუდგა წუთები, როცა ის მთვრალი მიიყვანეს მილიციაში. გააფორმეს აქტი, რომელიც ასე იწყება: საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის, ხულიგნობისათვის... მილიციის განყოფილებაში გაითვალისწინეს გივის წარსული, თავდადებული შრომა და, მიუხედავად მძიმე დანაშაულისა, მას ორმოცდა ათი მანეთი ჯარიმა აკმარეს. მაგრამ არა, გივიმ ქედმაღლობა მაინც არ მოიშალა, ცხვირი ასწია: როგორ, მე და ჯარიმა? გაჯიუტდა, არ გადაიხადა.

დაუკვირვებლობას, წინდაუხედაობას, მძიმე შეცდომის არაღიარებას ის მოჰყვა, რომ გ. ცქიტიშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს...

...ცდის წუთები ამოიწურა. ხალხმრავალი კრება დაიწყო.

— როგორც ყველა საბჭოთა მოქალაქე, — დაიწყო ოქტომბრის რაიონის პროკურორის თანაშემწემ ვ. დოლიძემ, — მე ვფიქრობ და ასეც არის: დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ ხულიგნობის ყოველგვარ გამოვლინებას. საელმავლო დეპოს კოლექტივის წევრი გივი ცქიტიშვილი ღირსია მკაცრად დასჯისა, მაგრამ გავითვალისწინეთ სახელოვანი დეპოს კოლექტივის თხოვნა და გივის დანაშაულის საქმე თქვენი მსჯელობის საგნად გვინდა გავხადოთ...

მეტად აღელვებული ავიდა ტრიბუნაზე მოწინავე მემანქანე ნ. ცხენოსანიძე.

— პირდაპირ უნდა გამოგიტყდეთ, რომ გივის მიერ ჩადენილმა არაწესიერმა საქციელმა გული მატკინა. მას დიდი ხანია ვიცნობ, ჩემს თანაშემწედ მუშაობდა. წყნარი, საერთო-სახალხო საქმისადმი თავდადებული კაცია. მაგრამ რა მოხდა? ჩემი აზრით, ის, რომ ლოთობამ, ზედმეტმა სმამ კაცი მოლიპულ გზამდე მიიყვანა... ხელი ვკრათ მას? არა, დავეხმაროთ...

მრავალი გულთბილი სიტყვა თქვეს გივის შესახებ საელმავლო დეპოს უფროსმა ვ. გაგნიძემ, მემანქანე ი. კიკნაძემ, სხვა ამხანაგებმაც.

მეგობრებმა გაიხსენეს გივი ცქიტიშვილის მოკლე, მაგრამ მეტად მდიდარი ბიოგრაფია. სამამულო ომის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების დღეებში გივი ვაჟკაცურად იბრძოდა შემოსეულ მტრის ურდოებს, სახელოვანი ბრძოლით გაიარა ჭაღარა კავკასიონის მისადგომები, დონბასი... მამაცი მებრძოლი ორდენებითა და მედლებით დააჯილდოეს.

ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ გივი კვლავ წარმოებას დაუბრუნდა. იგი 1948 წლიდან საელმავლო დეპოშია და ჯერ არ ყოფილა ისეთი თვე, წელიწადი, რომ მას სიტყვა გაეტეხოს, სანიმუშოდ არ შეესრულებინოს საწარმოო დავალება.

მაგრამ დანაშაული დანაშაულია! პასუხი უნდა აგო.

როცა სიტყვა გივი ცქიტიშვილს მისცეს, დარბაზში ერთი წუთით სრული სიჩუმე დამკვიდრდა.

—ის, რაც მე ჩავიდინე, — განაცხადა გივიმ, — შეუწყნარებელი, დასაგმობია. გთხოვთ გაითვალისწინოთ, ეს იყო ერთხელ, და აღარ გამეორდება.

მუშა-მოსამსახურეთა კრებამ კარგა ხანს გასტანა. იგი გადაიქცა მრისხანე ამხანაგურ სასამართლოდ. გივი მკაცრად გაკიცხეს, მაგრამ თან ამხანაგური, კეთილშობილური ხელი გაუწოდეს. გ. ცქიტიშვილის ოჯახიც უდიდესი კმაყოფილი დარჩა იმ კოლექტივისა, რომელმაც აღზარდა და კვლავაც მშობლიური მზრუნველობა გაუწია მას.

ოქტომბრის რაიონის პროკურორის თანაშემწემ ვ. დოლიძემ გაითვალისწინა საელმავლო დეპოს კოლექტივის თხოვნა და გ. ცქიტიშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე წარმოებით მოსპო.

მეგობრების მიერ სწორ გზაზე დაყენებული, გამხნევებული, სიცოცხლით სავსე, ელმავლის მემანქანის თანაშემწე გ. ცქიტიშვილი გუშინწინ გამოცდილ მემანქანესთან ერთად ფხიზლად მიაქროლებდა მატარებელს მწვანე გორაკებს შორის...

მისი სიტყვისა და საქმის სჯერათ მეზობლებს, თანამსაქმეებს, მთელ კოლექტივს.

კ. სხვაველი.

# 140.000 ტონა ჩაისათვის!

1959
22
ივლისი

## იცნობდეთ, მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრეფაში

**ჩოხატაური.** **ნ. გიორგაძემ** სოფელ ქვემო ერკეთის კოლმეურნეობაში მოკრიფა 40 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად 20 კილოგრამისა, სულ 0,4 ჰექტარზე მოკრეფილი აქვს 1.658 კილოგრამი ჩაი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.500 კილოგრამისა. **დ. კობიძემ** მოკრიფა 1.600 კილოგრამი ჩაი და ამით წლიური გეგმა 100 პროცენტით გაანაღდა. ახლა იგი გეგმის გადამეტებით ყოველდღიურად კრეფს 45 კილოგრამ ფოთოლს. **შურა ცინცაძემ** სოფელ გორაბერეჟოულის კოლმეურნეობაში მოკრიფა 50 კილოგრამი ჩაის ნედლეული, ნაცვლად 20 კილოგრამისა. სულ 0,7 ჰექტარზე მოკრეფილი აქვს 4.628 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.500 კილოგრამისა.

**მახარაძე.** **საშა ქურიძემ** სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 80 კილოგრამი ჩაი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 კილოგრამისა, **ვერა ჩანჩიბაძემ** სოფელ მერიის კოლმეურნეობაში — 70 კილოგრამი, **ნადია მამეიშვილმა** სოფელ ბახვის კოლმეურნეობაში — 50 კილოგრამი, ხოლო **ელპიტე გოლიაძემ** სოფელ დვაბზუს კოლმეურნეობაში — 60 კილოგრამი ჩაი.

**ლანჩხუთი.** **ეკატერინე ჩხაიძემ** სოფელ მამათის კოლმეურნეობაში მოკრიფა 50 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ამით ფოთლის კრეფის დღიურ ნორმას 30 კილოგრამით გადააჭარბა.

# ბევრს გაუსწრო

**ბევრჯერ** სმენია ლიანა კუპავას გალაკტიონის შესანიშნავ ლექსზე აწყობილი სიმღერა „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო". მისი მშობლიური სოფელი გვიშტიბი წყალტუბოს რაიონში მდებარეობს და, ცხადია, ახლოა ქუთაისთან. გოგონას უყვარს საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი — ქუთაისი. გულით უნდოდა იქ სწავლაც პედაგოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ სიმწიფის ატესტატის მიღების დღიდანვე კოლმეურნეობაში მუშაობა ამჯობინა.

შრომა, ჩაის პლანტაციაში თავდადებული შრომა ახლა მისი ღირსების საქმე გახდა. გათენდება თუ არა, მწვანე ბუჩქებისაკენ მიუწევს გული. დაიხურავს ჩალის ქუდს, კალათს მოიმარჯვებს და სწრაფად ამოძრავებს თითებს ბუჩქიდან ბუჩქზე, კრეფს ახლადმოსულ ჩაის ფოთოლს. მალე შეეჩვია სასახელო შრომას კომკავშირელი გოგონა. ლიანა ახლა ყოველდღე კრეფს 35-40 კილოგრამ ფოთოლს მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში. მან ბევრს გაუსწრო ფოთლის კრეფაში და მოწინავე მკრეფავის სახელიც მოიპოვა.

ნაყოფიერ შრომასთან ერთად ლიანა წიგნების კითხვასაც ხარბად ეწაფება. უმაღლესი ცოდნის მიღება უნდა, და ბეჯითი მუშაობით იკვლევს გზას ინსტიტუტისაკენ.

**სურათზე:** მოწინავე მეჩაიე ლიანა კუპავა.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.



როგორ ატარებთ თქვენ კვირადღეს?

# ზეიმი მანგლისში

**სასიამოვნო** სიგრილეა მანგლისის ტყეში. ცაში ატყორცნილი ნაძვების კენწეროებზე ოქროსფერ ძნასავით ელვარებს მზის სხივები. დილის ცვარით დანამულ ბალახს საამურად აშრიალებს მთებიდან დაძრული სიო...

სადღესასწაულოდ მორთულა ტყე-ქალა. ნაძვებს შორის გაბმული ფერადი გირლანდები თვალისმომჭრელად ბრწყინავენ მწვანე ფოთლების ფონზე. ადამიანის ხელს უცდია მომაჯადოებელი ტყე-ქალის უფრო მეტად გალამაზება...

ტყე-ქალაში მოდიან სუფთად გამოწყობილი კოლმეურნეები, ჭაბუკები, ქალიშვილები, ბავშვები. დაბურული ტყის მყუდროებაში სეირნობენ ისინი...

თეთრი წყაროს რაიონის მანგლისის ზონის კოლმეურნეობებმა სახალხო ზეიმის ვითარებაში მოაწყეს საკვირაო დასვენება. კარგია მთელი კვირის განმავლობაში მიღწევებისა და მაღალნაყოფიერი შემოქმედებითი შრომის შემდეგ დაისვენო ბუნების წიაღში, მდინარის, ტბის ან ზღვის ნაპირებზე... ჩვენს ქვეყანაში ხომ ყველაფერი კომუნიზმის მშენებელი ადამიანისათვის კეთდება...

ტყე-ქალამ მართლაც ფართოდ გაუღო კარი მანგლისელებს... ირგვლივ სიხარული და გამოცოცხლებაა. ლაღად ფრიალებენ ალისფერი დროშები. გაისმის მუსიკის ნაცნობი მელოდიები. ტყე-ქალაში უწყვეტ ნაკადად მოდიან კოლმეურნეები. მოჰქრიან საზეიმოდ მორთული ავტომანქანები. აქ მოვიდა საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის სიმფონიური ორკესტრი; მოვიდნენ სტუმრები ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქიდან, მეზობელი წალკის რაიონიდან, თრიალეთის სოფლებიდან... დღის 12 საათისათვის ტყე-ქალაში 3.000-მდე კაცი შეიკრიბა.

იმართება მიტინგი.

— ჩვენი რაიონის კოლმეურნეებმა, — ამბობს პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი ალექსი ბექაური, — რუს და უკრაინელ კოლმეურნეთა მაგალითისამებრ უკვე შემოიღეს დასვენების დღეები. ამის უფლება მათ გმირული, სასახელო შრომით მოიპოვეს. შარშან და შვიდწლედის პირველი წლის განვლილ პერიოდში თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს მეურნეობის ყველა დარგში.

ტრიბუნაზეა სოფელ ალგეთის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი ტ. ფეოდოსევა.

— ჩემს ცხოვრებაში კარგ მოგონებად დარჩება ეს დღე. სამიათასიან მიტინგზე სიამაყით ვამბობ, რომ წველადობის წლიურ გეგმას ვადაზე ორი თვით ადრე შევასრულებ. მაგრამ მარტო ამით როდი ვხარობ. მე უფრო მეტი სასიხარულო მაქვს, ამხანაგებო, მე ხომ თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტი ვარ, — დაუსწრებლად ვიღებ განათლებას. სულ მალე ზოოტექნიკოსის დიპლომს მივიღებ. დაე ჩვენი დასვენების დღე ახალ წარმატებათა მოპოვების საწინდარი გახდეს.

მანგლისის მკვიდრი, შვებულებაში მყოფი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი ამბობს:

— მეგობრებო,—წარმატებას გისურვებთ მუშაობაში. რაც შეგვეხება ჩვენ, საბჭოთა მეცნიერებს, ჩვენი მხრივ ვცდილობთ წარმატებით შევასრულოთ შვიდწლიანი გეგმა. ჩვენ, სწავლულები, არა მარტო იქ, სამუშაოზე ყოფნისას, არამედ შვებულებაშიც ვქმნით ჩვენს შრომებს. შევეცდები, რომ შვებულება გამოვიყენო ხალხის კეთილდღეობისათვის და ჩემი მცირე წვლილი შევიტანო მეცნიერების საგანძურში. გისურვებთ ყოველივე კარგს.

მანგლისელ კოლმეურნეებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს თბილისიდან სტუმრად ჩამოსულმა მეომარმა იაკობ კეზერაშვილმა და საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარემ ანტონ კელენჯერიძემ.

მიტინგის დამთავრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. ოთხი სატვირთო ავტომანქანის ბაქანზე ეწყობა ტყის „ესტრადა". საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის სიმფონიური ორკესტრი ზაქარია ხუროძისა და ალექსანდრე ნასიძის დირიჟორობით ასრულებს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს: ტკბილად ჟღერს უვერტიურა ოპერა „დაისიდან". ჰაერს არხევს კომპოზიტორ ლაღიძის „საჭიდაო" და ბევრი სხვა სიმღერა. რესპუბლიკის სახალხო არტისტი მერი ნაკაშიძე დიდი წარმატებით ასრულებს კომპოზიტორ ბრუსილოვსკის „ორ მერცხალს". „ესტრადაზე" ადიან საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის სოლისტები თენგიზ ზაალიშვილი და ლევან წივწივაძე. მათ სცვლიან რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი სალარაძე და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი სტეფანე ჯაფარიძე. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ფილარმონიის მსახიობებმა — მოსეშვილმა, ძაგნიძემ, ჩხიკვაძემ, ჭუმბაძემ, წოწორიამ, კაცობაშვილმა და მედუდუკეთა ანსამბლმა.

მთავრდება კონცერტი. მაგრამ სახალხო სეირნობა და მხიარულება კვლავ გრძელდება.

ნაძვნარის პატარა ტაფობში საჭიდაო მოედანი თოკებით შემოზღუდეს. გაისმის დოლისა და დუდუკის ხმა... საჭიდაო ჰანგებმა ააძგერა ჭაბუკთა გული. ლაზათიანად გადადიან წრეში ჩოხიანი ტალიკ-ტალიკი ბიჭები. სარმა, მოგვერდი, მოკიდება, თეძო, გარეკაური... ყველა ამ ილეთს შნოიანად იყენებენ ფალავნები. გაისმის მოწონების შეძახილები.

ტყის სხვა მხარეს სოფელ ივანოვკიდან ჩამოსულ ბერძენ კოლმეურნეებს ცეკვა გაუჩაღებიათ. მათ ეროვნული ტანსაცმელი აცვიათ. მათმა მოხდენილმა „მოძრავმა მხარულმა" ყურადღება მიიპყრო.

მანგლისში მოწყობილმა დასვენებამ სახალხო დღესასწაულის ხასიათი მიიღო.

შ. შაველაშვილი.

## ყოველი მხრიდან

# ვის როგორ ესმის გერმანიის თავისუფლება

### საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე

ჟენევა, 22 ივლისი. (საქდესის სპეც. კორ.) დისკუსიამ ჟენევის თათბირის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ქ. ჰერტერის თავმჯდომარეობით, ცხადყო სრული უსაფუძვლობა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციისა, რომლებმაც სრულიად გერმანიის კომიტეტის შექმნის შესახებ საბჭოთა წინადადების „ალტერნატივად" 20 ივლისის სხდომაზე წამოაყენეს მეტად ბუნდოვანად ჩამოყალიბებული წინადადება იმის შესახებ, რომ ჟენევის თათბირმა თავისი ახლანდელი შემადგენლობით განაგრძოს ყოვლად შეუზღუდავი პერიოდის განმავლობაში თავისი არსებობა „გერმანიის მთლიანი პრობლემის განსახილველად" და რომ მან განიხილოს აგრეთვე საკითხები, რომლებიც ეხება გერმანიის ორ ნაწილს შორის კონტაქტის გაფართოებასა და განვითარებას.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ა. გრომიკომ, რომელიც დღევანდელ სხდომაზე, პირველი გამოვიდა, გააკრიტიკა დასავლეთის სახელმწიფოთა უკანასკნელი წინადადებანი და ცხადყო, რომ ეს წინადადებანი მიუღებელია მოლაპარაკების ბაზად.

გაახსენა რა დამსწრეთ, რომ თათბირზე უკვე რამდენი დღეა მიმდინარეობს აზრთა გაზიარება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის მოლაპარაკების მოწყობის შესაძლებლობის შესახებ, რათა მათ განიხილონ გერმანელი ხალხისათვის უპირველესი მნიშვნელობის მქონე ისეთი საკითხები, როგორიც არის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება და დადება, ღონისძიებათა შემუშავება ეროვნული ერთიანობის აღსადგენად და ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის კონტაქტის განვითარება, ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მნიშვნელობის სიტყვიერ აღიარებაზე შორს არ მიდიან. როგორც კი თათბირი იწყებდა კონკრეტულ წინადადებათა განხილვას, რომელთა მიზანია საქმიან საფუძველზე დააყენონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პრობლემის გადაჭრა, მაშინვე გამოვლინდებოდა ამ პრობლემისადმი მიდგომის ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო მიდგომა. ერთი მხრივ, გამოთქვამდნენ განუხრელ მისწრაფებას სრულიად გაუჭიანურებლად აეწყოთ მშვიდობიანი საზავო მოწესრიგების ამოცანის პრაქტიკული გადაწყვეტა, რისთვისაც გაეთვალისწინებინათ გერმანიაში შექმნილი რეალური მდგომარეობა. მეორე მხრივ, აშკარაა ნათელი ტენდენცია ყოველი საშუალებით აარიდონ თავი გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებას, გააჭიანურონ განუსაზღვრელი დროით ამ საკითხის გადაჭრა.

ეს ორი სხვადასხვა ხაზი გამოვლინდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელთა გამოსვლებშიც. თითქოს ასეთ მდგომარეობაში, ხაზი გაუსვა ა. ა. გრომიკომ, ბუნებრივი იყო, რომ ორივე გერმანული სახელმწიფოს წარმომადგენელნი შეკრებილიყვნენ და ეცადათ განეხილათ არსებული უთანხმოების დაძლევისა და საზავო ხელშეკრულების საკითხზე ერთიანი გერმანული თვალსაზრისის შემუშავების შესაძლებლობა. რა შეიძლება ითქვას ამის წინააღმდეგ? განა ეს რაიმე ზიანს მიაყენებდა ოთხ სახელმწიფოს, რომელთაც ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა გერმანიაში მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის? სრულიადაც არა, პირიქით, მოლაპარაკება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის მხოლოდ სასარგებლო იქნებოდა როგორც თვითონ გერმანელებისათვის, ისე დიდი სახელმწიფოებისათვის, რამდენადაც ისინი დაინტერესებული არიან ევროპაში მშვიდობის განმტკიცებით.

მაგრამ, ხაზი გაუსვა ა. ა. გრომიკომ, ყველაფრის მიხედვით ჩანს, რომ ზოგიერთ სახელმწიფოს არ სურს არც გერმანიის ორ ნაწილს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია, არც მთლიანად ევროპაში ვითარების გაჯანსაღება. ისე ჩანს, რომ მათ აშინებთ თვით აზრიც იმის შესაძლებლობის შესახებ, რომ გააკეთონ რაღაც ნაბიჯი ამ მიმართულებით.

შემდეგ ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკების შესახებ საბჭოთა მთავრობის წინადადება ითვალისწინებს, რომ გერმანიის ორივე ნაწილის წარმომადგენლებმა განიხილონ ისეთი პრობლემაც, როგორიც არის გერმანიის გაერთიანება, და თქვა: ჩვენ მტკიცედ იმიტომ მოვითხოვთ ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებასა და დაახლოებას, რომ ახლანდელ ვითარებაში გერმანიის ერთიანობის აღდგენის სხვა გზა საერთოდ არ არსებობს. თუ ზოგი ვინმე ცდილობს ისე დაგვანახვოს, თითქოს გერმანიის გაერთიანება შეიძლება სხვისი ხელით განხორციელდეს, გარედან იქნეს მოტანილი გერმანელებისათვის რაღაც განკარგულების გამოცემის გზით, ამას შეიძლება სჩადიოდნენ მხოლოდ თვალის ასახვევად.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა შემდეგ აღნიშნა დასავლეთის სახელმწიფოთა იმ მტკიცების უსაფუძვლობა, რომ, თუ გერმანელები ურთიერთშორის მოლაპარაკებას დაიწყებენ, სრულიად გერმანიის კომიტეტში თუ მათთვის მისაღები სხვა საშუალებით, ამას გერმანიის გათიშვის გაღრმავებაც კი მოჰყვებაო. ეს რა „გათიშვის გაღრმავება", თქვა მან, თუ საქმე ეხება გერმანელთა ერთობლივ პლატფორმის შემუშავებას საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის ერთიანობის საკითხებზე. როდიდან არის, რომ გერმანელთა შორის უთანხმოების აღმოფხვრა ნიშნავს გერმანიის „გათიშვის გაღრმავებას"? ასეთი ლოგიკა ორივე ფეხით მოიკოჭლებს.

შეაჯამა რა თავისი სიტყვის ეს ნაწილი, ა. ა. გრომიკომ განაცხადა: ნათელია დასკვნა იმ ფაქტიდან, რომ დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობები, რომ აღარ ვილაპარაკოთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობაზე, შეუპოვრად ეწინააღმდეგებიან სრულიად გერმანიის კომიტეტის შექმნას, ან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის მოლაპარაკების მოწყობას მათთვის მისაღები სხვა ფორმით: ისინი ეწინააღმდეგებიან როგორც საზავო ხელშეკრულების დადებას, ისე გერმანიის გაერთიანებას, თუმცა სიტყვით როდი ამბობენ უარს ცხადყონ თავიანთი ზრუნვა ამ ამოცანების, განსაკუთრებით გერმანიის ერთიანობის ამოცანის გადაწყვეტისათვის.

შემდეგ სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური შეეხო წინადადებას, რომელიც ამას წინათ შეიტანეს დასავლეთის სახელმწიფოების დელეგაციებმა იმის შესახებ, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის პირდაპირი მოლაპარაკების მოწყობის ნაცვლად გადააქციონ საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი რაღაც პერმანენტულ ინსტიტუტად, რომლის ფარგლებშიც იწარმოებს დაუსრულებელი, ამავე დროს დროით ყოვლად შეუზღუდავი მოლაპარაკება, ამასთან დიდმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ წმინდა გერმანული საქმეები, რომლებიც ეხება გერმანიის გაერთიანებას, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლები შეასრულებენ „მრჩეველთა" დამხმარე ფუნქციებს.

არსებითად, განაცხადა მან შემდეგ, უკანასკნელი წინადადებანი, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოებმა შეიტანეს, მიზნად ისახავენ, რომ არ დაუშვან ერთადერთი შესაძლო საფუძვლის შექმნა იმ ღონისძიებებისათვის, რომელთა მიზანია გერმანიის გაერთიანება, რა თქმა უნდა, ეს წინადადებები მოლაპარაკების ბაზა არ არის.

სინანული გამოთქვა რა იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებას სრულიად გერმანიის კომიტეტის შექმნის შესახებ უარყოფითად მოეკიდნენ დასავლეთის სახელმწიფოები, ა. ა. გრომიკომ თქვა: მაგრამ ჩვენ არ გვინდა დავკარგოთ იმის იმედი, რომ გამოინახება მოლაპარაკების ფორმა, მისაღები ორივე გერმანული სახელმწიფოსათვის. ჩვენ წარმოვადგინეთ სხვადასხვა ვარიანტი ამის შესახებ, კერძოდ ის, რომ დასაწყისისათვის კონტაქტი დამყარდეს ორ გერმანულ დელეგაციას შორის ჩვენს თათბირზე იმ მიზნით, რომ ეს კონტაქტი შემდეგში გაგრძელდეს სხვა ადგილას ორივე მხარეს შორის შეთანხმებით. ჩვენ აქ სხვა წინადადებანიც მოვისმინეთ. წარსულ სხდომაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დოქტორმა ბოლცმა გამოთქვა მთელი რიგი მოსაზრებანი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის მოლაპარაკების ფორმების შესახებ, რომლებიც, ჩვენი რწმენით, სამსახურ მოწონილია და სერიოზულ შესწავლის ღირსია.

ერთი სიტყვით, გერმანელებს შორის მოლაპარაკების საკითხი არამც და არამც არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ საკითხად, რომელმაც სიმწვავე დაკარგა. საბჭოთა დელეგაცია, თავის მხრივ, მზად არის განაგრძოს იმის ცდები, რომ გამოინახოს ამ საკითხის შეთანხმებული გადაჭრა ჩვენს თათბირზე. უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები უფრო კონსტრუქციულ პოზიციას დაიკავებენ გერმანიის ორივე ნაწილს შორის დაახლოების რეალური გზების მიმართ.

როგორც უკვე განვუცხადეთ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს, ჩვენ არა ვართ იმის წინააღმდეგი, რომ პარალელურად მიმდინარეობდეს აზრთა გაზიარება იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება დროებითს შეთანხმებას დასავლეთ ბერლინის შესახებ. ჩვენ მიერ განსახილველი საკითხების განხილვის ასეთი მეთოდი საშუალებას მოგვცემდა უფრო რეალურად შეგვეფასებინა სიძნელეები, რომლების გადალახვაც მოგვიწევს, და გამოგვერკვია შეთანხმების მიღწევის არსებული შესაძლებლობანი.

დასასრულ ა. ა. გრომიკომ უპასუხა ს. ლოიდის 20 ივლისის გამოსვლაში დასმულ კითხვაზე, როგორი იქნება მდგომარეობა დასავლეთ ბერლინის შესახებ დროებითი შეთანხმების მოქმედების ვადის განმავლობაში, აგრეთვე მოლაპარაკების დროს, რომლებიც საბჭოთა წინადადება ითვალისწინებს შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, და ხომ არ არის საფრთხე, რომ ერთ-ერთ მხარეს შეუძლია ამ პერიოდში მიმართოს ცალმხრივ მოქმედებასო.

დასავლეთ ბერლინის შესახებ დროებითი შეთანხმების მოქმედების მსვლელობაში, განაცხადა ა. ა. გრომიკომ, აგრეთვე მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც უნდა გამართოს ჟენევის ამ თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა თათბირზე დასავლეთ ბერლინის საკითხის ცვლილ განხილვისათვის, საბჭოთა კავშირი არ მიმართავს ცალმხრივ მოქმედებას. რა თქმა უნდა, ჩვენ ვითვალისწინებთ იმას, რომ შეთანხმების არავითარი დარღვევა დაშვებულ არ იქნება შეთანხმების არც სხვა მონაწილეთა მიერ.

იმედი მაქვს, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა, რომ ამ საკითხში ამიერიდან არავითარი ბუნდოვანება არ იქნება.

როცა ა. ა. გრომიკომ დაამთავრა თავისი გამოსვლა, სიტყვა აიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ქ. ჰერტერმა. მისმა გამოსვლამ ცხადყო, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები უძლური არიან რაიმე საბუთი დაუპირისპირონ სსრ კავშირის დელეგაციის ნათელ და ზუსტ არგუმენტაციას თავისი პოზიციის დასასაბუთებლად და რაიმე თქვან ჟენევის თათბირის „გამუდმივების" შესახებ დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადების კრიტიკის წინააღმდეგ, რასაც ა. ა. გრომიკოს გამოსვლა შეიცავდა.

ის, რაზეც ქ. ჰერტერმა ილაპარაკა, წარმოადგენდა საბჭოთა წინადადების არსის შესახებ სხვადასხვა ჭორის განმეორებას, რომლებიც უკვე ბევრჯერ უარყო საბჭოთა დელეგაციამ.

მაგალითად, მან კვლავ გაიმეორა დასავლეთის პროპაგანდის მტკიცება, თითქოს საბჭოთა კავშირმა „გამოიწვია ბერლინის კრიზისი", თუმცა ყოველი უწინასწარახვო მეთვალყურისათვის ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის მიერ დასავლეთ ბერლინის საკითხის წამოყენება გამოიწვია მისწრაფებამ ლიკვიდირებულ იქნას ის კრიზისული, მშვიდობის საქმისათვის საფრთხის შემცველი მდგომარეობა, რომელიც წარმოშვა დასავლეთ ბერლინში დრომოჭმული საოკუპაციო რეჟიმის შენარჩუნებამ.

იმ „არგუმენტაციის" ხასიათს, რომელსაც ქ. ჰერტერმა მიმართა, მოწმობს მისი მტკიცებაც, თითქოს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებმა სრულიად გერმანიის კომიტეტის შექმნის შესახებ წინადადების წამოყენებით „აშკარად განაცხადეს, რომ ისინი დაეთანხმებოდნენ გერმანიის გაერთიანებას მთელი რესპუბლიკის კომუნიზაციის პირობით".

მ. კუვ დე მიურვილის გამოსვლა, რომელმაც სიტყვა აიღო ქ. ჰერტერის შემდეგ, გაჟღენთილი იყო იმავე სულისკვეთებით. საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა, რომელიც ისწრაფვის, რადაც უნდა დაუჯდეს ხელი შეუშალოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოლაპარაკებას მთელი გერმანელი ხალხის სასიცოცხლო დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე, კვლავ გაიმეორა მტკიცება, თითქოს სრულიად გერმანიის კომიტეტის საკითხსა და დასავლეთ ბერლინის საკითხს შორის არავითარი კავშირი არ არის.

თუმცა მთელ რიგ თავის განცხადებებში, მათ შორის დღევანდელ სხდომაზეც, სსრ კავშირის დელეგაციამ ნათელი პასუხი გასცა კითხვაზე, ხომ არ არის სსრ კავშირის მხრივ ცალმხრივი მოქმედების საფრთხე დასავლეთ ბერლინის შესახებ შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგო, მ. კუვ დე მიურვილი ისე, როგორც ქ. ჰერტერი, განაგრძობდა მტკიცებას, თითქოს ამის შესახებ არსებობდეს რაღაც ბუნდოვანება.

ს. ლოიდმა, რომელიც უკანასკნელი გამოვიდა, მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ სსრ კავშირის დელეგაცია უარყოფითად ეპყრობა დასავლეთის სახელმწიფოთა უკანასკნელ წინადადებას. ამასთან მან განაცხადა, რომ ეს წინადადება რომელიმე მხარისაგან არ მოითხოვს, რომ იგი სავსებით დაეთანხმოს მეორე მხარის პოზიციას.

# სასამართლო გაუსწორდა ბერძენ პატრიოტებს

ათენი, 22 ივლისი. (საქდესი). დღეს მანოლის გლეზოსისა და სხვა დემოკრატების გასამართლებაზე უკანასკნელი სიტყვები წარმოთქვეს ბრალდებულებმა.

„რამდენადაც ბრალდება ჩემს წინააღმდეგ არ ემყარება არავითარ დამამტკიცებელ საბუთს, — განაცხადა მანოლის გლეზოსმა, — მე იგი მიმაჩნია ცილისწამებად, რომელსაც უპასუხოდ ვერ დავტოვებ. ჩემი ცხოვრების ისტორია, ჩემი დამოკიდებულება სამშობლოსადმი ამის საკმაო პასუხია. მე არ მესაჭიროება ამაში თავის დაცვა.

მსურს ვირწმუნო, რომ ბატონი მოსამართლეებისათვის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი იქნება ხალხის ნება და ყველაზე მაღალი — კანონი. მე არ ჩამიდენია ისეთი მოქმედება, რომელსაც ბრალად მდებენ. მე არასოდეს არ შევხვედრივარ კოლიინსს. მე ბრალს მდებენ მხოლოდ პოლიტიკური მიზნებით".

სიტყვას იღებს ელეფთეროს ვუცასი: „მე უარვყოფ ბრალდებას ჯაშუშობაში, რომელსაც ჩემთან არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს დამოკიდებულება, როგორც საბერძნეთის კომუნისტური პარტიის წევრთან. მე უარვყოფ ამ ბრალდებას, როგორც დაუსაბუთებელს. მე ვუკუვაგდებ მტრობისა და ანტიკომუნიზმის პროპაგანდას".

ამ ადგილას სასამართლოს თავმჯდომარე უხეშად უბრძანებს ვუცასს გაჩუმდეს. ვუცასი შენიშნავს: „მე განცხადებას ვაკეთებ არსებითად". თავმჯდომარე: „შენ რაო, აქ იმისათვის იმყოფები, რომ პოლიტიკური ინსტრუქციები მოგვცე?" ვუცასი მოითხოვს, რომ მას მაინც მისცენ ნება თქვას ყველაფერი, რაც სურს. თავმჯდომარე გაავებული უყვირის: „დაჯექით, თორემ დარბაზიდან გაგიყვანენ. — და მიმართავს პოლიციელებს, — დაუყოვნებლივ გაიყვანეთ დარბაზიდან".

ვუცასი იძულებულია შეწყვიტოს თავისი განცხადება.

ტრიკალინოსი ამბობს: „სამეფო პროკურორს არაფერი უთქვამს ისეთი, რაც გაამართლებდა მის წინადადებას — გამომიტანონ სასიკვდილო განაჩენი. მე ვიბრძოდი და ვიბრძვი მშვიდობისათვის, როგორც ჩემი სამშობლოს ფარგლებს გარეთ, ისე თვით საბერძნეთში. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს პროცესი იქნება უკანასკნელი პროცესი, რომელიც ემყარება ამ, უეჭველად ანტიკონსტიტუციურ კანონს 375". „მე უარვყოფ ბრალდებას და მსურს გითხრათ, ბატონო მოსამართლენო, რომ კვლავაც ვიბრძოლებ სამშობლოსა და ხალხისათვის".

სინგელარისმა განაცხადა, რომ პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ რომ იგი პოლიტიკური რწმენისათვის დასაჯონ როგორც ჯაშუში. ეს სამარცხვინო იქნებოდა საბერძნეთისათვის.

ათენი, 22 ივლისი. (საქდესის კორ.). მანოლის გლეზოსის სრული უდანაშაულობის მიუხედავად, რაც დამაჯერებლად დამტკიცდა სასამართლო პროცესის მსვლელობაში, მსოფლიო საზოგადოებრიობის მოთხოვნის მიუხედავად, საბერძნეთის რეაქციამ გათელა საკუთარი ქვეყნის კანონები და სასამართლოს საშუალებით გაუსწორდა მანოლის გლეზოსს.

დღეს ათენის სამხედრო ტრიბუნალმა გამოიტანა განაჩენი, რომლითაც მანოლის გლეზოსს მიესაჯა 5 წლის პატიმრობა, შემდეგ ოთხი წლით საკონცენტრაციო ბანაკში გადასახლება და პოლიტიკურ უფლებათა აყრა 8 წლით. ეს იმაზე უფრო მკაცრი განაჩენიც კია, რასაც პროკურორი მოითხოვდა. ამ სამარცხვინო განაჩენით საბერძნეთის ხელისუფლებმა არარად ჩააგდეს ბერძენი ხალხი, მთელი მსოფლიოს ხალხები, თავისუფლებისა და დემოკრატიის საქმე.

მიუხედავად იმისა, რომ ჩაიფუშა ყალბი ბრალდება „ჯაშუშობისა", ე. ვუცასს და გ. ტრიკალინოსს მიესაჯათ სამუდამო პატიმრობა, ა. სინგელარისს — 15 წლის პატიმრობა, შემდეგ ხუთი წლით გადასახლება და პოლიტიკურ უფლებათა აყრა 7 წლით, ა. კარყაიანისს — თერთმეტი წლის პატიმრობა, შემდეგ ხუთი წლით გადასახლება და პოლიტიკურ უფლებათა აყრა 7 წლით. ქ. რაგუზერიდისს — ხუთი წლის პატიმრობა, შემდეგ ოთხი წლით გადასახლება და პოლიტიკურ უფლებათა აყრა 5 წლით, მარიამ გრიგორიადუს — ერთი წლის პატიმრობა და პოლიტიკურ უფლებათა აყრა 5 წლით.

სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრება არ შეიძლება.

ი. აბლამოვი.

# ტიან-შანში, უმაღლესი მწვერვალებისაკენ




ქართველ მთამსვლელთა სახელი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გასცდა. სასიმაღლო ექსპედიციები, ტრავერსები, ახალ მწვერვალთა დაპყრობა მათი სტიქია გახდა. ყოველ წელს ახალი გამარჯვებები მოაქვს. საბჭოთა ალპინიზმი ამაყობს ქართველ მთამსვლელთა მიღწევებით.

და აი კიდევ ერთი ახალი სეზონი, ალპინიზმით მდიდარი 1959 წელი.

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ტიან-შანის სასიმაღლო ექსპედიციის ხელმძღვანელს ა. ივანიშვილს. იგი გვიამბობს:

ამოცანა უთუოდ რთულია. ექსპედიცია მიზნად ისახავს ახალი გზით მწვერვალ „გამარჯვების" (7.439 მეტრი) დაპყრობას, აგრეთვე მყინვარ „დიკის" სათავეში უსახელო მწვერვალზე (6.920 მეტრი) ასვლას. ეს ასვლები საკონკურსოა.

21 ივლისს ექსპედიციის პირველი ჯგუფი „ტუ-104" თვითმფრინავით ტაშკენტისა და ფრუნზეს გავლით ქ. პრჟევალსკში გაემგზავრა. დღეს ტიან-შანისაკენ კურსს აიღებს მეორე ჯგუფი. ექსპედიცია 20 კაცით განისაზღვრება. მომსახურე პერსონალთან ერთად ჩვენთან იქნება კინოოპერატორთა ჯგუფი ბ. კრეპსის ხელმძღვანელობით.

პრჟევალსკიდან საქარავნო გზით გავივლით უღელტეხილებს აჩიკტაშს, ტიუზს და სარიჯაზის ველით მივადგებით უდიდეს მყინვარს (59 კილომეტრი), სადაც დავბანაკდებით. აქედან მოეწყობა შუალედი ბანაკები, აკლიმატიზაცია, დაზვერვა, იერიშები.

ექსპედიციაში შედიან სპორტის ოსტატები ჯ. მეძმარიაშვილი, ლ. ახვლედიანი, რ. ხაზარაძე, თ. კუხიანიძე, ო. ხაზარაძე, პირველთანრიგოსნები შ. მირიანაშვილი, ი. ყაულაშვილი, ს. ხაბეიშვილი, ნ. ნადირაშვილი, ო. ბერაძე, დ. დანგაძე.

ტიან-შანი ცნობილია ბუნების სიმკაცრით, ცვალებადი მეტეოროლოგიური პირობებით, ასვლის სიძნელეებით. ამიტომ ჩვენს ექსპედიციას საგულდაგულო მომზადება და ენერგიის დაძაბვა მოუხდება. მწვერვალებზე ასვლა ნავარაუდევია აგვისტოს ბოლო რიცხვებში.

## რ. ნიქსონი მოსკოვს გამოფრინდა

ვაშინგტონი, 23 ივლისი. (საქდესი). დღეს 4 საათსა და 0,6 წუთზე მოსკოვის დროით ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი რ. ნიქსონი თავისი მეუღლის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ძმის მილტონ ეიზენჰაუერის, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს ხელმძღვანელის ჯ. ალენის, ვიცე-ადმირალ ჰ. დ. რიკოვერისა და სხვა ოფიციალური პირების თანხლებით მოსკოვში გაფრინდა რეაქტიული თვითმფრინავით ბალტიმორის ახლოს მდებარე აეროპორტ „ინტერნეიშნლ ფრენდშიპიდან". აეროპორტში ნიქსონი გააცილეს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა და დიპლომატიური კორპუსის წევრებმა, მათ შორის სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვმა.

## ამერიკული ატომური ხომალდი

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. (საქდესი). პრესის ცნობებით, გუშინ კამდენის (ნიუ-ჯერსის შტატი) გემთსაშენში გაიმართა ამერიკის პირველი ატომურძრავიანი სავაჭრო-სამგზავრო გემის „სავანის" წყალში ჩაშვების ოფიციალური ცერემონია.

## კოლმეურნის მამაცობა

ახალციხე, 23 ივლისი. (საქდესი). თმოგვისა და ნაქალაქევის კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებს მგლები შეეჩვივნენ. ერთ თვეში მგლებმა 16 სული მსხვილფეხა პირუტყვი შეუჭამეს კოლმეურნეებს. ნაქალაქევის სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალგაზრდა კოლმეურნემ ე. მაღრაძემ მიაგნო მგლის კვალს, ძუ მგელი მოკლა და 4 ლეკვი ცოცხლად ჩააბარა ახალციხის რაიკოოპკავშირის დამზადების კანტორას. მამაცმა კოლმეურნემ ფულადი ჯილდო მიიღო. იგი მონადირეთა კავშირის წევრი გახდა.

## მოსწავლეთა VI სპარტაკიადა

მოსკოვი. 23 ივლისი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). მოსწავლეთა VI საკავშირო სპარტაკიადა დასასრულს უახლოვდება. ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკ ფრენბურთელთა გუნდმა ფინალური შეჯიბრების მორიგი მატჩი გამართა უკრაინელებთან და მოიპოვა გამარჯვება ანგარიშით 3:2.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში დიდი წარმატება ხვდა საქართველოს გუნდის წევრს ლუდმილა იევლევას, რომელმაც 80 მეტრზე თარჯრბენში წინასწარ შეჯიბრებაზე აჩვენა 11,1 წამი.

გუშინ გაიმართა მორიგი მატჩები ფეხბურთსა და წყალბურთში. საქართველოს ფეხბურთელთა წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის კოლექტივი. დაძაბული ბრძოლა მოიგეს მასპინძლებმა 2:1.

## სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 23 ივლისი. დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საკავშირო პირველობის გათამაშების მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „ტორპედოსა" და კიშინიოვის „მოლდოვას" გუნდები. მატჩი დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

## საჯარო ლექცია

24 ივლისს საღამოს 7 საათზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სააქტო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 29) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება აწყობს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგის ე. ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს საჯარო ლექციას თემაზე: „მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია, გაფართოება და ტექნიკური ხელახალი შეიარაღება უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა".

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს

## ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი

**აცხადებს მიღებას 1959-60 სასწავლო წლისათვის პირველ და მესამე კურსებზე.**

გამოცდებზე დაიშვებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე. არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ა) მათემატიკაში (ზეპირი), ბ) ქართულ ენაში (ზეპირი), გ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ა) მათემატიკაში (წერა, ზეპირი), ბ) ქართულ ენაში (ზეპირი), გ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი).

ტექნიკუმი ამზადებს: 1) საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს სოფლის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის, საირიგაციო და დამშრობ სისტემათა ძიებითი და საპროექტო სამუშაოებისათვის, ჰიდროტექნიკური და სატუმბო სადგურებისათვის, 2) ტექნიკოს მექანიკოსებს (ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა მექანიზაცია).

განცხადება და საბუთები მიიღება 31 ივლისამდე. გამოცდები დაიწყება 15 აგვისტოს.

ტექნიკუმს აქვს საერთო საცხოვრებელი და სასადილო. ჩარიცხულნი დადგენილი წესით უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

ტექნიკუმში შემოსვლის მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე, სადაც აღნიშნული უნდა იყოს, თუ რომელ განყოფილებაში სურს შემოსვლა.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (ასლი), ცნობა, გაცემული ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 286), სამხედრო ბილეთი ან ცნობა მიწერის შესახებ ვაჟებისათვის), ავტობიოგრაფია, სამი ცალი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ (ზომით 3×4 სმ), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ვისაც მუშაობის სტაჟი აქვს, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან და დახასიათება სამუშაო ადგილიდან.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

მისამართი: ქ. ფოთი, კიროვის ქ. № 22, ტელ. № 13-64.

## თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი

**აცხადებს 1959-60 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:**

**I კურსი** (წარმოებისაგან მოწყვეტით, დილის წყება) — 1. ავტომატიკა და ტელემექანიკა, 2. მრეწველობის საწარმოთა ელექტრომოწყობილობა, 3. ელექტრომანქანების მშენებლობა და 4. შედუღების წარმოება.

**II კურსი** (წარმოებისაგან მოწყვეტით, დილის წყება) — 1. ავტოტრანსპორტის რემონტი და ექსპლოატაცია. 2. შედუღების წარმოება და 3. რადიოაპარატურის მშენებლობა.

**III კურსი** (წარმოებისაგან მოუწყვეტლად, საღამოს წყება) — 1. ავტოტრანსპორტის რემონტი და ექსპლოატაცია.

პირველ კურსზე შესვლის მსურველნი აბარებენ გამოცდებს: 1. ქართულ ენაში (წერა და ზეპირი), 2. მათემატიკაში (ზეპირი) და 3. რუსულ ენაში (ზეპირი — შემმოწმებელი).

მესამე კურსზე შესვლის მსურველნი აბარებენ გამოცდებს: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა — თხზულება), 2. მათემატიკაში (წერა და ზეპირი) და 3. რუსულ ენაში (ზეპირი — შემმოწმებელი).

განცხადება მიიღება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე 1 აგვისტომდე. გამოცდები იწარმოებს 10-20 აგვისტომდე. მისამართით: ქ. თბილისი, კამოს ქ. № 70. განცხადებას უნდა დაერთოს: განათლების მოწმობა (ატესტატი) — დედანი, დაბადების მოწმობის ასლი, ნოტარიუსის მიერ შემოწმებული, ავტობიოგრაფია, დახასიათება-რეკომენდაცია, დაწესებულების ხელმძღვანელის (თუ მუშაობდა) ან სკოლის დირექტორის მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული. 3 ფოტოსურათი (უქუდოდ) ზომით 3×4, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 286), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან და სამხედრო ბილეთი ან მიწერის ცნობა (ადგენენ მხოლოდ სამხედრო ვალდებულნი).

## თბილისის თეატრები და კინოები

24 ივლისი

ოპერისა და ბალეტის—სინიორ მარიო კომედიას წერს (ლენინგრადის გორკის სახელობის სახელმწიფო დიდი დრამატული თეატრის გასტროლების დახურვა), ფილარმონიის საზაფხულო — ლენინგრადის ესტრადის მსახიობების კონცერტი.

* * *

**რუსთაველის სახელობის**, **ამირანი** (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი**, **იხანი** (საზამთრო), **სპარტაკი**, **26 კომისრის სახელობის** (II დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — უფსკრულის პირას, **ამირანი** (საზაფხულო), **ოქტომბერი**, **თბილისი**, **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო) — როზა ბერნდი, **იხანი** (საზაფხულო) —ივანე ბროვკინი ყამირზე, **კომკავშირელი** — ოქროს სიმფონია, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — კონსტანტინე ზასლონოვი, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — მინდვრის ბულბული, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), ოქროს გულისათვის, **საქართველო** (საზაფხულო)— დედის სიყვარული, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ჩემი საბრალო, საყვარელი დედა, **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ძალად მძღოლი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **ძერჟინსკის სახელობის** (საზამთრო), **სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — როცა სიჭაბუკე იწყება, **ძერჟინსკის სახელობის** (საზაფხულო) **კოლმეურნე**, **დიდუბე** (საზამთრო), **ოქტომბრის რაიონის ახალი** (საზაფხულო)— ტრამვაი მოიპარეს, **დიდუბე** (საზაფხულო) — ირინა, შინ წადი, **ოფიცერთა სახლი** — ომი და მშვიდობა (I-II სერია), **ყაზბეგი**, **ვაკის პარკი**, **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — ომი და მშვიდობა (II სერია), **კიროვის სახელობის პარკი**— მზის ჩასვლის წინ, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — დიდების პრელუდია, **თანამგზავრი** — ზღვის კანონი.

## ტელევიზია

24 ივლისი

19.30 — „დიდი ასპარეზობის წინ", 19.40 — „კინომოთხრობები შვიდწლიანი გეგმის შესახებ" — კინონარკვევი „საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობა", 20.00 — სატელევიზიო ჟურნალი „ხელოვნება" № 7, 20.40 — კინოჟურნალი, 20.50 — უკანასკნელი ცნობები, 21.00— ახალი ჩინური სათავგადასავლო ფილმი „ღამის რეისი".

## საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

**აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1959-1960 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებში.**

წარმოებისაგან მოწყვეტით

**მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი:** ბიოქიმია, ვენახის სელექცია, ხეხილის სელექცია, მეხილეობა.

**მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი:** ფიტოპათოლოგია, მღრღნელთა ზოოლოგია.

**ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი:** აგროქიმია, ნიადაგის მიკრობიოლოგია, ნიადაგის ფიზიკა.

**მეაბრეშუმეობის ინსტიტუტი:** კერძო ზოოტექნიკა (მეაბრეშუმეობა).

**მეცხოველეობისა და ვეტერინარიის ინსტიტუტი:** ბიოფიზიკა, ცხოველთა ფიზიოლოგია, ჰელმინთოლოგია.

**სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტი:** სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ელექტროენერგიის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, თბომომარაგება და გაზმომარაგება.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

**მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი:** ვაზის სელექცია, მეხილეობა (აგროტექნიკა), ღვინის ტექნოლოგია.

**მიწათმოქმედების ინსტიტუტი:** სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკა, ნიადაგის მიკრობიოლოგია.

**მეაბრეშუმეობის ინსტიტუტი:** მეაბრეშუმეობა (აბრეშუმის ჭიის სელექცია) — 2 ადგილი.

**მეცხოველეობის და ვეტერინარიის ინსტიტუტი:** მიკრობიოლოგია (ანტიბიოტიკები).

**ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის ინსტიტუტი:** ჰიდროტექნიკური ნაგებობანი (2 ადგილი), სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია.

**სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტი:** სასოფლო-სამეურნეო მანქანები (2 ადგილი), ელექტროენერგიის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

**ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი:** ნიადაგის მელიორაცია.

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი არა უმეტეს 35 წლის ასაკისა, ხოლო ასპირანტურაში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ არა უმეტეს 45 წლის ასაკისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, გამოამჟღავნეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ არჩეული სამეცნიერო სპეციალობის პროფილით სამეცნიერო ან წარმოებაში მუშაობის სულ მცირე 2 წლის გამოცდილება უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

ასპირანტურაში შესვლის მსურველებმა უნდა შეიტანონ განცხადება როგორც სათანადო ინსტიტუტის დირექტორის, ისე აკადემიის კადრებისა და ასპირანტურის მომზადების განყოფილების სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ა) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის პირი, ბ) დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, გ) ავტობიოგრაფია, დ) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, სამი ფოტოსურათით, ე) გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია და რეფერატი არჩეული სპეციალობის მიხედვით, ვ) ცნობა საწარმოო სტაჟის შესახებ, ზ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, თ) საბუთი სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ.

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ორ-ორ ცალად.

საბუთების მიღება იწარმოებს 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 10 სექტემბრიდან 20 სექტემბრამდე.

ასპირანტურაში შესვლის მსურველები გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: სპეციალობა, სკკპ ისტორია, რუსული ენა და ერთ-ერთი უცხო ენა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კადრებისა და ასპირანტურის განყოფილებაში (ჯავახიშვილის ქ. № 16, ტელ. 3-38-23).

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90. სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24. საილუსტრაციო — 3-08-57, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 04128

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.